ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 22 19 ოქტომბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: მეთაური.—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—სპარსეთი.—მცირე პასუხი «ეკალს», ლელისა.—ნეტავი მას (ლექსი), ქუჩიშვილისა.—მუშა-ფილოსოფოსი, მან-წილისა.—«დისციპლინის პორიადკა», ავტორისა.—სათარხანი, Artemius-ისა.—დიაღ მზის სხივებს, ბაბ. ი—სა.—თეატრი: პარნასისა.—ქუთაისის თეატრი, სერ. ყორყ.-ისა.—პროვინცია.—კოოპერატიული საზოგადოებები და პროფესიონალური კავშირები, ს. თავართქილაძისა.—ქუთაისის ქრონიკა.—დედა, როგორც აღმზრდელი, ჰენრიხ შულცესი.—განცხადებანი.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

ვწუხვართ, რომ Artemius-ის „ეკალის“ საპასუხო წერილში („ჩვ. კვ.“ № 21) პირველი ორი სტრიქონი დაუკვირვებლობის გამო ამოუშლელი დაგვრჩა, თუმცა ჩვენ ის არ გვიგულისხმია ამ სტრიქონებში, როგორც ზოგიერთ მკითხველს გაუგია.

„ჩვენი კვალი“-ს 23 ნომერში დაიბეჭდება **შ. ლევ. მეტრეველის** ახალი ნაწარმოები

„მნათობთა ჩივილი“

24 ნომრიდან კი დაიწყება ბეჭდვა ცნობილ ავტორის **ლეონიდ ანდრეევის** პიესისა

„მეფე შიმშილი“

თარგმანი ქ-ნი **განდეგილისა**.

Audi alteram partem
(მეორე მხარესაც მოუსმინეთ!)

„პატიოსან მებრძოლთ შორის
მოციქული ნამუსია!“

„დღეს მუშათი პარტიის ცხეე-სიმაგრეს ყოველ მხრიდან მტერი ესხმება“ („ეკალი“) და აბა რაღა საკვირველია, თუ გაზ. „ეკალმა“ მედგარი იერიში მოიტანა ... „ჩვენი კვალის“ წინააღმდეგ. გაზ. „ეკალს“ ეს იერიშები ეტყობა, ამ ხელათ მაინც, გათავებული უნდა ჰქონდეს, მაშ სიტყვა ეხლა ჩვენ გვეკუთვნის.

„ეკალმა“ ბოლო დროს გარკვევით აღნიშნა ბრძოლის საგანი: ეს იყო, ვითომ „ჩვენ კვალში“ დაბუდებული ნაციონალიზმ-შოვინიზმ-იმპერიალიზმ-პანქართველიზმი. ამას „ეკლის“ ფალევანი თავის უკანასკნელ ფელეტონშიაც ხაზს უსვამს: „აშკარაა, —სწერს იგი—რომ პანქართველისტური მიმდინარეობა კი არსებობს და არსებობს სახელდობრ „ჩვენ კვალში“ („ეკ.“ № 52). როდესაც ჩვენ ამის საბუთები მოვთხოვეთ, მან მოიყვანა ზოგიერთ ჩვენ წერილიდან ზოგიერთი „ფრაზა“, ხოლო როცა ამ „ფრაზებზე“ და „დებულებებზე“, ისე როგორც ჩვენ წერილების მთელ შინაარსსა და დედა აზრებზე მას თავი წაუგალეთ, მან იკადრა და განაცხადა: „ჩვენ ხომ იმაში არ შეგვაქვს იქვი, რომ კვალელ პუბლიცისტმა წყალივით არ იცის მარქსისტული ფრაზები და აზრები“; რომ იგი (კვალის პუბლიცისტი), თავის წერილებში არ ქადაგობდეს მარქსისტულ აზრებს. მაგრამ „ეკალის“ ფალევანი „სიტყვას“ როდი ჯერდება, იგი ჩვენ „საქმეს“ უშინჯავს კბილს (თითქოს მარქსისტულ აზრების ქადაგება კი თავის-თავადაც არ შეადგენდეს საქმეს!). რაკი ფალევანს საქციელი წაუხდა, იგი ამოეფარა „სადამოჟნო კედლებს“; ჩვენ ეს საფარიც მას ხელიდან გამოვაცალეთ. მაგრამ ჩვენი მოპირდაპირე დიდი „მარიფათის“ პატრონია და აბა იარაღს როგორ დაჰყრიდა. მას ეხლა ყველა თავის „სამხედრო“ ძალები მოუქუჩებია ... „არტემიუსის“ ღია ბარათთან და ეს უკანასკნელი გაუხდია საოპერაციო ბაზათ.

„ეკალის“ მეფელეტონეს ჩვენს „გასანადგურებელ“ არგუმენტათ მოჰყავს აღნიშნულ ბარათიდან ის ადგილი, სადაც ავტორი ითხოვს „დახმარება აღმოვუჩინოთ იქაურ ჩვენ მოძმეებს (ე. ი. ოსმალეთის ქართველებს), რათა იგინი დამარცხებული არ დარჩენ ახალ ასპარეზზე ბრძოლაში და მსხვერპლნი არ გახდენ „ახალგაზდა ოსმალთა“ თავაშვებულ ნაციონალიზმისა“. და ამაზე „ეკალი“ გვეკითხება: „აბა ახლა გვიბრძანეთ, აქ ანბანის სწავლებაზეა ლაპარაკი, თუ პოლიტიკურ ბრძოლაზე“?

თავისთავად ცხადია, რომ ნაციონალიზმის წინააღმდეგ გამკლავება, თუნდაც ეს არა სცილდებოდეს იდეიურ სფერას, უეჭველათ იგულისხმებს პოლიტიკურ კამპანიას. მთელი საკითხი მხოლოთ იმაშია, თუ რა ხასიათის იქნება ეს ბრძოლა. ჩვენ ვიცით, რომ დედამიწის ზურგზე არ იპოვება ისეთი სოციალდემოკრატია, რომელსაც საჭიროთ არ მიაჩნდეს ბრძოლა ნაციონალურ მჩაგვრელობის წინააღმდეგ. მაშასადამე, დაჩაგრულ ნაციისათვის ბრძოლას, თავის და თავად თითონ „ეკალიც“ ვერ ჩაგვითვლიდა მძიმე დანაშაულობათ. საქმე იმაზეა დამოკიდებული თუ რა ხასიათისა იქნება ეს ბრძოლა. ამის შესახებ „არტემიუსის“ ბარათში არაფერია ნათქვამი იმის მეტი, რომ აღნიშნულია იქაურ **ქართველების** (და არა გათათრებულ, გადაგვარებულ ქართველების) ნაციონალურ სახის შერჩენის საჭიროება და ხაზგასმულია მისი საფრთხე „ახალგაზდა ოსმალთა“ ნაციონალიზმის მხრივ. თუ „ეკალს“ აინტერესებდა სიმართლე, ცხადია, რომ იგი პოლიტიკურ პროგრამის შესახებ უნდა შეკითხებოდა ან „არტემიუსს“, ან ჩვენ რედაქციას, ან და ეხელმძღვანელნა ჩვენი შეხედულებებით და მიმართულებით *). „ეკალი“ უკუღმა მოიქცა: მან ჩვენი შეხედულება და მიმართულება ნაციონალურ საკითხის შესახებ დაასკვნა „არტემიუსის“ ზემოხსენებულ სტრიქონებიდან, რაიც თითონ საჭიროებდა ახსნას.

შეიძლება „ეკალმა“ ჩვენი „ნაციონალისტური სულისკვეთება“ იქიდან ამოიკითხა, რომ „არტემიუსი“ „ახალგაზდა ოსმალებს“ ალერსიანათ არ იხსენიებს, და ეს დღეს, „ოსმალეთ-სპარსეთის რევოლიუციების დროს“? შეიძლება ამიტომ გვწამებდეს—სურვილს დავქსაქსოთ ამ რევოლიუციის ძალები, დავარღვიოთ იქაურ ოპოზიციონურ, რევოლიუციონურ ძალთა „ბლოკი“? მაგრამ როგორ მოხდა, რომ იგივე „ეკალი“ სხვა ადგილას ჩვენ გვისაყვედურებდა სწორედ წინააღმდეგს, ე. ი. ამგვარ „ბლოკების“ ტრფიალებას რევოლიუციის დროს? ნუ თუ „ეკალს“ თავის დავთარში აღარ უწერია არავითარი ლოგიკა?

რაც შეეხება ჩვენს განწყობილებას „ახალგაზრდა ოსმალებთან“, „ეკალს“, უნდა გავუმჟღავნოთ შემდეგი. რაც უნდა დიდათ ვაფასებდეთ ამ პარტიის მოქმედებას ოსმალეთის ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან სასტიკათ არ დავგმოთ მათი ნაციონალური პოლიტიკა, რომლის ნამდვილი სულია სწორედ „თავ აშვებული (ე. ი. უკიდურესი) ნაციონალიზმი“. ეს არ შეადგენს არავითარ საიდუმლოებას იმათთვის, ვისაც კი ოდნავ მაინც თვალი უდევნებია მათი მოქმედებისთვის წარსულში, თუ აწმყოში. აი მაგ. რას ვკითხულობთ „ახალგაზდა ოსმალების“ თვით იმ პროგრამაში, რომელიც დაწერილია ოსმალეთის ყველა ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ძალების შესაკავშირებლათ:

„4. იმ ნაციებს, რომელნიც შეადგენენ ოტტომანის იმპერიას, არასოდეს არ მიეცეს არც სრული ავტონომია და არც ადმინისტრატიული ავტონომია“.

*) ჩვენ აკი იმდენსა ვწერთ ნაციონალურ საკითხზე, რომ თვითონ „ეკალი“ ჩივის: „ჩვენი კვალი“ ყოველთვის და ყოველმან ნაძალადევათ აწებებს ნაციონალურ კითხვას, რომ ამ გაზეთის ჯგუფი ყოველ კითხვას ნაციონალურ დარჯაკში ატარებსო“ და სხ.

„6. იმ ელემენტებს, რომელნიც იმპერიაში ესწრაფიან სრულს ან მხოლოთ ადმინისტრატიულ ავტონომიას, ვაცხადებთ მტრებათ“.

„7, ოტტომანის იმპერიაში ჩვენ ვცნობთ მხოლოთ ერთ ხალხს, ერთად-ერთ ეროვნებას, ეს არის ოტტომანები“ *). აი, ამ ნაციონალიზმში იფარება დიდი საფრთხე არა მარტო ოსმალეთის დაჩაგრულ ნაციებისათვის, არამედ აგრეთვე მთელ ოსმალეთის განახლების საქმისათვის. ამიტომაც საჭიროა - იქაურ დაჩაგრულ ნაციებმა—და მაშასადამე ქართველებმაც— აქედანვე შეიგნონ ნაციონალურ თვითთარსებობის დაცვის უაღრესობა, ნაციონალურ უფლებათა მთელი მნიშვნელობა, საჭიროა დღეიდანვე სწარმოებდეს იქ სათანადო პროპაგანდა. ხოლო რაც შეეხება სააგიტაციო ლოზუნგების „სოლილობას“, პირდაპირ პოლიტიკურ მოქმედებას, თუ სახალხო გამოსვლებს, ეს, რა თქმა უნდა, ისეთი საკითხებია, რომლის გადასაწყვეტათ ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს კომპეტენცია. თუნდაც სავსებით და ზედმიწევნით ვიცნობდეთ ოსმალეთის შინაურ, ადგილობრივ პირობებს, ჩვენ მაინც თავს შევიკავებდით მკაფიო, გადაჭრილი და მტკიცე რამ გვეთქვა აღნიშნულ საკითხებზე, რადგან უკანასკნელთა გადაჭრა სავსებით ეკუთვნის ადგილობრივათ მომქმედ პარტიებს.

„ეკალის“ ფალევანი კი მოგვდგომია: „თქვენ მიბრძანდეთ „თათარში“ (ბარაქალა ენამახვილობისათვის!), თქვენ პოლიტიკურ კამპანიას ხსნით და შესაფერ პაროლს **იძლევით**, თქვენ ქართველ მუშებს სტამბოლისაკენ მიუძღვებით“...

აშკარაა, ჩვენი მოკამათე სწერს ყველაფერს, რაც კი პირზე მოადგება, თორემ ის თუნდ ერთი წუთით რომ დაფიქრებულიყო, ადვილათ მიხვდებოდა თავის უაზრობას. მართლაც, ჩვენებურ ქართველ მუშებმა რომ ოსმალეთში შეიძლონ პოლიტიკურ კამპანიის წაყვანა— თუნდ ეს იყოს წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალური კამპანია—მათთვის, რასაკვირველია, აუცილებლათ საჭირო იქნება, სხვათა შორის, ოსმალური ენის შესწავლა და უფრო მეტათ საჭირო იქნება იქაურ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარების ზედმიწევნით გაცნობა, ყველა ეს კი უეჭველათ ითხოვს მრავალ წელიწადებს. ასე, რომ სანამ ისინი „კამპანიისთვის“ მოემზადებოდენ, იქ დღევანდელი პოლიტიკური ბრძოლა უკვე გათავებულიც იქნებოდა. ცხადია, „ეკალი“ ისეთ რამესა გვწამებს, რასაც ეთქმის, ნაციონალისტობა და, „პანქართველისტობა კი არა, არამედ მხოლოდ გიჟური ფანტაზია. ჩვენ ქართველ მუშა ხალხს არამც თუ „პოლიტიკურ კამპანიისათვის“ არ ვერეკებით სტამბოლისაკენ, ჩვენ ამათ იქითკენ ვერ გავისტუმრებდით ვერც ქართულ წერა-კითხვის გავრცელების საქმისთვის: ჩვენ ამ საქმეს მუშაობა პარტიას ვერ დავავალებდით ვერც თვით საქართველოს მიწა-წყალზე. ყველა ჭკუათა მყოფელმა სოციალდემოკრატმა კარგათ იცის, რომ წერა-კითხვის გავრცელება არ არის და არც შეიძლება იყოს პარტიული საქმე, ე. ი. ამას ვერ მოხმარდება პარტიის ვერც ბიუჯეტი და ვერც კაცები, და ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ დიდათ არ ვაფასებდეთ წერა-კითხვის საქმეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამისათვის ჩვენ არა გვაქვს საკმაო ძალა და არც გვექნება თვით სოციალურ რევოლიუციამდე.

მაშ, საიდან ამოიკითხა ფალევანმა ჩვენი „პახოტობის“ ამბავი? ის პირდაპირ გვითითებს „არტემიუსის“ წერილზე. მაგრამ ამ უკანასკნელს სათაურათ აწერია: „ღია წერილი ქართველ საზოგადოებას“ და შიგაც თეთრზე შავათ სწერია, რომ ოსმალეთის ქართველების აღნიშნული დახმარება „ყველაზე მეტათ უპრიანია ქართველ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვისო“. და მერე როდის აქეთ არის, რომ მუშათა პარტიათ გადაიქცა ქართველი საზოგადოება ანუ წ.-კ. საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეა გენერალი ყაზბეგი?!. მართალია ფელეტონისტის ხელობა ოხუნჯობაა, მაგრამ არც ამ ზომის ოხუნჯობა ვარგა. „არტემიუსის“ ღია ბარათის ანი და ჰოე მკაფიოთ არის გამოთქმული მის დასასრულ, შემდეგ სტრიქონებში: „მე, რადგან ვიცი ქართული, სომხური, თათრული და რუსული ენები *), სურვილს ვუცხადებ იმ საზოგადოებას და აგრეთვე კერძო პირთ, შეძლებისა დაგვარათ დახმარება აღმოვუჩინო გაზეთის გამოცემის საქმეში“. ეს არის და ეს.

ყველა ზემო ნათქვამიდან აშკარაა, რომ „ეკალის“ ფალევანი ებრძვის არა „ჩვენი კვალის“ რაიმე მიმდინარეობას, არამედ თავის საკუთარ ფანტაზიისაგან შექმნილ ლანდებსა და მოჩვენებებს... ეს მეტათ საშიში ხუმრობაა! Cave ne cadas! (ფრთხილათ, უფსკრულისაკენ არ დაგორდეთ!).

* * *

ჩვენი გაჯიუტებული მოკამათე გაზ „ეკალიდან“ თვითონაც კარგათა გრძნობს, რომ „არტემიუსის“ ღია ბარათი ვერაფერი თამასუქია ჩვენს გასანადგურებლათ და ამიტომ იგი ყველა ჩვენს წერილებს ნარდათ იღებს და ერთბაშათ აცხადებს, ვითომც „ჩვენი კვალი“ „ყოველ დღე ყურში ჩიგვჩიჩინებდეს“, რომ „**დღეს** სულ ყველამ უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ოსმალეთ-სპარსეთის ქართველები ნაციონალ-კულტურულათ შემოვიერთოთ და შევიკავშიროთ“.

მოკამათე ამ სტრიქონებს ბრჭყალებში სვამს და მით მკითხველს აფიქრებინებს, რომ ეს ადგილი „ჩვენი კვალის“ რომელიმე წერილიდან ამოღებული ციტატაა. ნამდვილათ კი, ისეთი ადგილი არ იპოვება არც ჩვენს სარედაქციო წერილებში და არც რომელიმე ჩვენი თანამშრომლის ნაწერებში! ეს ჩვენი მოკამათის პიტალო სიყალბეა, რუსულათ „პადლოგია“.

*) „L'Indépendance Arabe,“ 1908 № 11—12 p. 65

*) „არტემიუსმა“ ენებს ბარდა კარგათ იცის ოსმალეთის მთელი ადგილობრივი ვითარებაც, მას იქ ხანგრძლივათ უცხოვრია.

ჩვენს წერილებში არამც თუ მოხსენებული ადგილი არ იპოვება, იქ პირდაპირ წინააღმდეგიც არის გამოთქმული. აი მაგ, „ჩვენი კვალის“ № 18-ში თეთრზე შავათ დაწერილია: „ნაციის სხვა და სხვა სახელმწიფოში მყოფ ნაწილთა დასაახლოებლათ და შესაკავშირებლათ ყოველივე სურვილები და იდეიური ქადაგება შორ მანძილს ვერ გაივლის და **ფუჭათაც დარჩება, თუ აქ არ არსებობს სოციალ.ეკონომიურ ცხოვრების მზგავსება, დაახლოება**“. იმავ წერილში ალვნიშნავდით, რომ საზოგადოებრივ წეს-წყობილების ასეთი მზგავსება კი გაჩნდება მხოლოთ **მომავალში**, როცა რუსეთსა, სპარსეთსა და ოსმალეთში დამკვიდრდება პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლებანი, რაიც ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებას. ეს უკანასკნელი კიდევ თავის მხრივ „გამოიწვევს იქ „თვით (სპარსეთსა და ოსმალეთში) სოციალისტურ პარტიების შექმნასა და განვითარებას“... „ამ ნიადაგზე (მზგავს სოციალ-ეკონომიურ-პოლიტიკურ ვითარებაში) **ჩნდება** ძლიერი იდეიური ურთიერთობა და ზე-გავლენა, ნაციები ერთმანეთს უახლოვდებიან კულტურულათაც“. ნაციათა ასეთი დაახლოება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებათა ბუნებრივი მიმართულებაა და არა ჩვენ მიერ გამოგონილი ოცნება, ამას ჰმოწმობს თვითონ კაუცკი. მისი აზრით, უკვე დღეს განათლებული კაცობრიობა კულტურულათ მხოლოდ სამ დიდ ოჯახს წარმოადგენს; ესენია საქრისტიანო ქვეყანა (600 მილ. ადამიანი), ისლამის ქვეყანა (250 მილიონი) და ბუდისტურ-ბრამანული ქვეყანა (700 მილიონი). და თუ მართალია კულტურული დაახლოება და დაკავშირება იმ ხალხთა, ვისაც ერთმანეთისაგან ჰყოფს ენა, ეროვნება, თვალუწვდენელი სივრცე, უსაზღვრო ოკეანები და ბუმბერაზი მთები; თუ ამათი კულტურული დაახლოება-დაკავშირება ნამდვილი მიმართულებაა თანამედროვე საზოგადოებათა ევოლიუციისა, მაშინ ათასჯერ უფრო მართალი ყოფილა ერთსა და იმავე ნაციის მეზობლათ მცხოვრებ ნაწილთა კულტურული დაახლოება-დაკავშირება. აი, ამიტომაც ვწერდით ჩვენ: „ნაციები ერთმანეთს უახლოვდებიან... ხოლო ერთ და იმავე ნაციის სხვა და სხვა ნაწილები (აღებულ შემთხვევაში ქართველობა), როგორც შიგნით, ისე გარეთ—სახელმწიფოთა საზღვრების გაღმა გამოღმა—მჭიდროთ უკავშირდებიან ერთმანეთს ნაციონალ-კულტურულათ“. (იხ. № 19) თუ „ეკალი“ ამაში ჰხედავს პანქართველობას, მაშინ ცხადია, „ჩვენი კვალი“ კი არა, თვითონ ისტორია ყოფილა „პანქართველისტური“.

ჩვენ ღრმათ გვწამს ქართველობის ნაციონალ-კულტურული აღორძინება-განვითარება და სალამს ვაძლევთ მის ბრწყინვალე მომავალს. მაგრამ ნაციონალ-კულტურულ აღორძინება-განვითარებას თავის საზრუნავ საქმეთ აცხადებენ შოვინისტ-ნაციონალისტები და თვით შავრაზმელებიც. რა განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის? ის, რომ ისინი ნაციონალურ აღორძინება-განვითარებაში უეკველათ იგულისხმებენ მუშათა პარტიის უკან დაწევას, სოც.-დემოკრატიის დაცემასა და განადგურებას; ჩვენ კი ნაციის მიერ ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯს ვაფასებთ იმდენათ, რამდენათაც იგი მოასწავებს მუშათა საქმის წინ წაწევას, მის პარტიის გაძლიერებას და სხ. რალას გვედავება გაზ. „ეკალი“? მას არ შეუძლიან გვაპატიოს „იმის მუდამ წინ წამოჩრა და ხაზის გასმა, რომ „ქართველი ერის აღორძინება წან წასწევს მუშათა კლასს“. („ეკალი“ № 32) ცხადია, გაზეთი იმას გვაბრალებს, ვითომ ჩვენის აზრით ეროვნული აღორძინება **თავის თავად** იყოს მუშათა საქმის წინ წაწევა. ნამდვილათ კი „ეკალის“ მიერ ბრჭყალებში მოყვანილი სტრიქონები, მისი საკუთარი „თხზულებაა“. ნამდვილათ, აი რას ვწერდით ჩვენ: „ერის კულტურულათ გაღონიერება ნიშნავს **უკეთესი პირობების შექმნას** მუშა-ხალხის გონებრივ-ზნეობრივ ასამაღლებლათ და საერთოთ მუშათა საქმის წინ წასაწევათ“ (ჩვ. კვალი“ № 18). გიმნაზიაში ყოფნა საჭირო არ არის იმის გასაგებათ, რომ საქმის წინ წასაწევათ „უკეთესი პირობების შექმნა“ კიდევ არ არის თვით „საქმის წინ წაწევა“. რაც უნდა საუკეთესო პირობები გქონდეთ, თუ თქვენ გულ ხელ დაკრეფილი დარჩებით, შემწვარი ხოხბები თავისით პირში არ ჩაგიცვივათ... გვგონია, ნათელი აზრია!

მაშ ჩვენი სწორ-უპოვარი მოკამათე როგორ-ღა ახერხებს აზრის დაბნელებას? იგი ამაზე თვითონვე მიგვითითებს, იგი სწერს, რომ „ჩვენ კვალში“ „მუდამ წინ წამოჩრილი—მთელი ქართველი ერის აღორძინება წინ წასწევს მუშათა კლასს“ და „იმავე დროს **არც ერთი სიტყვა ამ კლასის დამოუკიდებელ მდგომარეობაზე და პოლიტიკაზეო**“.

ამასა სწერს მოკამათე „ეკალში“ 9 ოქტომბრის თარიღით, ხოლო „ჩვენ კვალში“, სხვათა შორის, 5 ოქტომბრის თარიღით ვწერდით: „ცხადია, ჩვენთვის ნაცია არ ყოფილა ერთიანი მასსა; ცხადია, რომ იგი ჩვენთვისაც დაყოფილია სხვადასხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასებათ და **რომ ნაციის ბრწყინვალე მომავლის გამომჭედი და მუშათა კლასიურ იდეალის განმახორციელებელი გზა არ ს სწორეთ კლასთა ბრძოლის განვითარება**“. გასულ სექტემბრის 28-ის №-შიც გარკვევით ვწერდით, რომ „ჩვენ საკმაო საკუთარი საქმე გვაქვს. ეს არის **მუშა ხალხის კლასიური გათვითცნობიერება**“. ჩვენმა მოკამათემ ძალიან კარგათ იცის, რომ ჩვენი წერილების აქ ხაზგასმულ სტრიქონებში სწორეთ მუშათა კლასის „დამოუკიდებელ მდგომარეობასა და პოლიტიკაზეა“ ლაპარაკი...

ყველა ამის შემდეგ რა სახელი უნდა ვუწოდოთ ჩვენს მოკამათეს?.. დეე, თვითონ მკითხველმა მოუძებნოს მას საკადრისი სახელი, მან თითონ შეაჩვენოს ის, რაც საზარელია, მან თითონ გაართხოს სამარცხვინო ბოძზე ის, ვინც ამის ღირსია.

ჩვენი მოკამათენი გაზ. „ეკლიდან“ და „იმედიდან“ ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ ყველა თავიანთ წერილებში ამტკიცებენ ჩვენ „ნაციონალისტ-შოვინისტ-პანქართველისტობას“, ამხელენ ჩვენს „მოღალატურ საქციელს“ და იმავე დროს კი მოგვმართავენ: „გეტყობათ, რომ რაღაც ამიზეზებული ხართ, რაღაც გაწუხებთ, რაღაცას ყოყმანობთ; ნუ გეშინიანთ, გაბედეთ! „მაშ ქენი საჭიროთ, რაც განიზრახე!“ ასე უთხრა ქრისტემ იუდას“!.. მაგრამ, თუ „იუდამ“ უკვე შეასრულა თავის განზრახვა, ჩაიდინა „მოღალატური საქციელი“, რაღა საჭიროა ეგ მიმართვა? და თუ განზრახვა ჯერ კიდევ არ შეუსრულებია „მოღალატური საქციელი“ არსად არის, რაღათ ამტკიცებთ „მოღალატური საქციელი“ ჩაიდინა? ცხადია თვითონ მოკამათეებს არა სწამთ ის, რასაც თვითონვე სწერენ ჩვენს წინააღმდეგ... მაგრამ რა უნდა ელაპარაკოთ ისეთ მოკამათეთ, რომელნიც მოურიდებლათ ფეხქვეშ სთელავენ ძვირფას ჰეშმარიტებას: „პატიოსან მებრძოლთ შორის, მოციქული ნამუსია!“

P. S. გაზ. „ამირანის“ 183 №-ში დაბეჭდილია საინტერესო შენიშვნები ჩვენს შესახებ. ძალიან ვნანობთ, რომ გაზ. „ეკალ“-„იმედის“ იერიშების მოგერება დროსა და ადგილს აღარ გვიტოვებს—ანგარიში გაგვეწია სხვა პარტიის ჩვენი მოწინააღმდეგეებისთვისაც. თუ ბედმა მოგვხედა—„იმედის“ „მეომარნი“ გონს მოვიდენ და პატივი დასდეს იმ პარტიის ბაირაღს, რომლის მიმდევარნი თვითვე არიან, მაშინ ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში „ამირანის“ შენიშვნებზე საფუძვლიანათ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩ ვ ე ნ შ ი

კვირას, 12 ოქტომბერს, სამეურნეო ბანკის სადგომში შესდგა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო 80 ნამდვილი წევრი. კრებამ განიხილა ანგარიში, მოისმინა სარევიზიო კომისიის აზრი ანგარიშის შესახებ და მის დამტკიცების შემდეგ, შეუდგა სხვა კითხვების გარჩევას. განიხილა კითხვა საზოგადოების სკოლებში პროგრამების შეუთანხმებლობის შესახებ. შეეხენ აგრეთვე ბათუმის სკოლას, რომელიც სპეციალურათ ქართველ მაჰმადიანებისთვის არის დანიშნული, ხოლო არც ერთი მაჰმადიანი არ მოიპოვება შიგ. ამ კითხვამ საკმაო კამათი გამოიწვია. უკანასკნელათ, კრება იმ აზრს დაადგა, რომ საზოგადოების განყოფილება, რომელიც ბათუმში უნდა დაარსდეს, ეცდება ეს საქმე მოაგვაროს.

დიდი კამათი გამოიწვია ბ. ა. მამელაიშვილის განცხადებამ იმის შესახებ, რომ წ. კ. საზ. მაღაზიაში არ უნდა იყიდებოდეს ისეთი წიგნები, როგორიც არის „ს. დ. მოატყუა ხალხი“. კრებამ უარყო ეს აზრი.

საზოგადოების ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების შესანახათ კრებამ გადასდო 3762 მ., საქმეების საწარმოებლათ—3903 მ.. სკოლების შესანახათ—5,264 მანეთი.

კრებამ უცვლელათ მიიღო გამგეობის მიერ შედგენილი ინსტრუქცია განყოფილებათა მოწყობისათვის.

კრებამ, წინაადმდეგ რამდენიმე პირთა, გადასწყვიტა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის წ. კ საზოგადოებასთან დატოვება.

დასასრულ, კრებამ მიიღო ორასამდე ახალი წევრი.

✦ ოდესის სამოსამართლო პალატამ დაასრულა „გურიის რესპუბლიკის“ საქმის გარჩევა. **ბენია ჩხიკვიშვილს** მიუსაჯეს კატორგა 4 წლით, **ერქომაიშვილს**—6 წლით, რვას—სამუდამო გადასახლება და ორიც გაამართლეს. ბრალდებულნი საქმეს ასაჩივრებენ.

✦ **აკაკის** საიუბილეო კომიტეტის სარედაქციო კომისიამ წერილობით მიმართა ქართველ მწერლებს, არტისტებს და მოღვაწეებს და სთხოვა **„აკაკის იუბილეის სახსოვარი კრებულისათვის“** მოაწოდონ მოგონება, მოთხრობა, ამბავი, ლექსები და სხ. მათი შეხედულება აკაკის პოეზიის შესახებ, ან რაიმე ნახატი.

✦ ნოემბრის პირველ რიცხვებში გრ. რობაქიძე წაიკითხავს თბილისში **ქართულ ლექციას აკაკის შესახებ.**

✦ თბილისში შესდგა ქალთა წრე, რომელსაც მიზნათ აქვს **აკაკის იუბილეის გადახდაში განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღოს.** წრემ უკვე გამოსცა შესაფერი მოწოდება პროვინციელ მანდილოსნებისადმი.

✦ 11 ოქტომბერს, შუადღის პირველ საათზე, ალექსანდრეს ბაღში **დააპატიმრეს** 15 საეჭვო კაცი და ერთი ქალი. გაჩხრეკის დროს ორ მათგანს: თეოფ. მეგრელიძეს და ალ. ღლონტს, აღმოაჩნდათ სასროლათ გამზადებული „ბრაუნინგები“. პოლიციის აზრით დაპატიმრებულებს უნდოდათ გაეძარცვათ რომელიმე „არტელშჩიკი“, როცა ეს უკანასკნელი იქვე ხაზინიდან ფულს გამოიტანდა.

✦ თფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ, პოლიცმეისტერისაგან მიიღო მოწერილობა, რომ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა აკრძალულიაო.

✦ **ილია ჭავჭავაძის** მოკვლის შესახებ წინასწარი გამოძიება დასრულდა. საქმე ამჟამათ საოლქო სასამართლოს პროკურორთან იმყოფება, რომელიც, საბრალმდებლო ოქმის შედგენისას, გადაეცემა სასამართლოს. პასუხის გებაში მიცემულია ხუთი კაცი.

✦ დღეს, 19 ოქტომბერს, თფილისის საკრებულოს დარბაზში, ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი ქალი მ. ე. ორჯონიკიძე-ტორო შელიძისა წაიკითხავს რუსულათ ლექციას შემდეგ თემაზე: **პროსტიტუცია თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით.**

რ უ ს ე თ ი.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ოდესაში—2,

ხერსონში—2, კრემენჩუგში—3, კიევში—18, ვარშავაში—1, ელისავეტგრადში—6, ტულაში—2.

✦ სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში—1. ტურინსკში—5, კიევში—4. სარიტოვში—2, რეველში—1. („რეჩი“ №№ 337—242).

✦ უმაღლესის ბრძანებით 18 ოქტომბრიდან დაიხურა ფინლიანდიის მორიგი სეიმი. ბრძანების სისრულეში მოყვანა მიენდო ფინლიანდიის გენ-გუბერნატორს.

✦ გაზ. „რეჩ.“ ის სიტყვით, მოსალოდნელია სამხედრო სამინისტროში რეფორმები მოხდეს. ცვლილება მოხდება აგრეთვე სახელმწიფოს დაცვის საბჭოში. ამ უკანასკნელის თავმჯდომარეთ იქნება თვით ხელმწიფე იმპერატორი.

✦ ფინანსთა მინისტრის განკარგულებით გამოიცა სახელმწიფო ხაზინის ახალი, 4 პროცენტიანი ბილეთი 25 მანეთიანის ხარისხისა, ნახევარ წლის კუპონებით.

✦ როგორც ხმებია, გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი სახ. დუმის ერთ-ერთ სხდომაზე წაიკითხავს მოხსენებას ბალკანეთის საქმეების გამო რუსეთის დიპლომატიის მოქმედების შესახებ.

✦ 17 ნოემბერს ნოვოროსიისკში დაიწყო „ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმის გარჩევა. სამართალში მიცემულია 106 კაცი. მათ შორის ყოფილი ქალაქის თავი, ვექილები, ინჟენერები, კომერსანტები და სხ.

უმაღლეს სასწავლებლებში. 9 ოქტომბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს მხოლოთ რამდენიმე პროფესორი კითხულობდა. საფიზიკო ინსტიტუტის აუდიტორიებში შედგა სამი ლექცია. თითეულს დაესწრო 10—25 მსმენელი.

9 ოქტომბერს არ შემდგარა არავითარი მეცადინეობა: პოლიტეხნიკუმის, ტეხნოლოგიურის, სამთამადნო, სატყეო და ქალთა მედიცინურ ინსტიტუტებში, ქალთა უმაღლეს კურსებზე, საფერშლო სასწავლებელში, ქალთა უმაღლეს საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და საპედაგოგიო კურსებზე.

✦ მოსკოვის, კონსტანტინოვის საზოგადოების გამმიჯნელ ინსტიტუტის დირექტორს გამოეცხადა პოლიციის ბოქაული და მოსთხოვა სია სტუდენტთა სახელ-გვარებისა. 9 ოქტომბერს პოლიცია უშვებდა სტუდენტებს დირექტორის მიერ მიცემულ სახელ-გვარების შემოწმების შემდეგ.

9 ოქტომბერს ოდესის უნივერსიტეტში გავრცელდა პროკლამაციები, რომელშიაც აცხადებდენ, რომ გაფიცვა გრძელდებაო. პროკლამაციებში სხვა მოთხოვნებთა შორის წამოყენებულია:—დააბრუნონ უნივერსიტეტში ადმინისტრაციის მიერ გაძევებული რექტორი ზანჩკოვსკი და რამდენიმე პროფესორი. ლექციებს ესწრებოდა 5—40 მსმენელი.

ღამ-ღამობით აპატიმრებენ მრავალ სტუდენტებს.

სპარსეთი.

როგორც ვიცით, თავრიზი უკვე რევოლიუციონერების ხელშია. ალყა, რომელიც შემორტყმული ქონდა თავრიზს, მოხსნილია და თვით ეინუდ დოულემ ძლივს დააღწია თავი თავრიზელებს. მისი ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც თავრიზში დარჩა, სათარხანს მიემხ'ო და მის რაზმში ჩაეწერა. ამნაირათ, პირველი საბედისწერო ომი რევოლიუციის სასარგებლოთ გათავდა; მაგრამ, რას უქადის მომავალი სპარსეთის თავისუფლებას, რას აპირებს შაჰი? ის სრულებით არ ფიქრობს იარაღი დაყაროს და ბედს შეურიგდეს. პირიქით, მას გადაწყვეტილი აქვს ხელ ახლა გაილაშქროს თავრიზის წინააღმდეგ. მაგრამ სად არის ჯარი, სად არის ფული? როგორც თეირანი, ისე მრავალი პროვინციები, შაჰის წინააღმდეგ აშკარათ მიდიან და ნებას არ აძლევენ მას თავრიზის წინააღმდეგ წავიდეს. მაგ., ხინჯანის ოლქის მცხოვრებლებმა, რომელიც თავრიზის გზაზე მდებარეობს, როცა გაიგეს, რომ თავრიზში რუსის აფიცრების მეთაურობით რაზმი მიდისო, გადასწყვიტეს დაიჭირონ ულელტეხილი „კაპალალანკა“ და რაზმი უბრძოლველათ არ გაუშვან. თუ რა მდგომარეობაშია შაჰის ხაზინა, ეს კარგა ხანია ვიცით. ამავე დროს, სათარხანი საოცრათ ამაგრებს თავრიზს და, გაზეთების სიტყვით, თეირანისკენ გალაშქრებასაც ეპირება.

დიახ, თუმცა შაჰი აშკარათ გრძნობს, რომ დღეს თავისუფლებასთან ბრძოლაში ის სრულებით უძლურია მაგრამ... ტყუილათ კი არ გაუმართა მან ლიახოვს საუზმე, იმ რუსის აფიცრების პატივსაცემლათ, რომლებიც თავრიზის დასასჯელათ იგზავნებიან?! და ეს საუზმე პოლიტიკური საუზმეა...

რუსეთის მოქმედებამ უკვე აალაპარაკა ინგლისი, რადგან მან მის (რუსეთის) მოქმედებაში ცნობილი ნოტის დარღვევა დაინახა. ამავე დროს, ოსმალეთის თეირანელმა ელჩმა დეპეშა აფრინა სტამბოლში, რომ თუ რაზმი, რომელსაც რუსის აფიცრები მეთაურობენ, დამარცხდა, ამას ხელზე დაიხვევს რუსეთი და ადერბეიჯანში ჯარს შემოიყვანსო. ამიტომ, აფრთხილებს ოსმალეთს ელჩი, საჭიროა მზათ იყოთ ყოველ შემთხვევისათვისო.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს სპარსეთი. რევოლიუციონერთა თავგასულობას ხომ საზღვარი არა აქვს, ისინი გადაიქცენ პროფესიონალ ყაჩაღებათ. მაგ., თავრიზში სამარცხვინოთ დამარცხებული სუჯაი-ნიზამი ეხლა ქალაქ მარანდს შეფარებია და იქაურობას იკლებს. ეს ქალაქი ჯულფისა და თავრიზს შუა მდებარეობს და სუჯაი-ნიზამსაც საშუალება ეძლევა აუარებელი მგზავრიც ძარცვოს და თავრიზში წასასვლელი გზაც დაიჭიროს.

მცირე პასუხი „ეკალს“ *)

ვიმაგრებ, ვიმაგრებ თავს, რომ არ ჩაეერიო „ჩვენებურ“ გათახსირებულ პოლემიკის ფერხულში, მაგრამ

*) ეს წერილი ეკუთვნის „ეკალის და „იმედის“ ბანაკში კარგათ ცნობილ ინტელიგენტ მუშას. რედ.

ალბათ აღარ მეყო მოთმინება და ერთი-ორი სიტყვა მეც უნდა წამომცდეს.

რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი ჩემი გულწრფელი სიტყვების სარგებლიანობაში, მაშინ ერთი-ორის მაგიერ ათასსაც ვიტყოდი, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული ამაში და თუ ვწერ ეხლა რამეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვეღარ მოვითმინე.

ნეტავი თუ სხვებიც არიან ჩემნაირ მდგომარეობაში!

„ეკალმა“ დასუსხა გულის ის ნაწილი, სადაც ინახება ზნეობრივი სიფაქიზე, ჭეშმარიტება და გულწრფელობა.

მეც იმას უნდა გამოვეპასუხო ეხლა და ვაუწყო, რომ „ეკალი“ სარგებლობს თავის გავლენით, უფრო კი ბოროტმოქმედობს თავის გავლენით და აწვდის „ჩვენ კვალს“ დემაგოგიისა, გინებისა და დაცინვის ახალ-ახალ ნობათებს.

„ეკალს“ შერცხვა პირდაპირ ეღიარებინა „ჩ. კ.“ის ბოიკოტი და ურჩია მხოლოდ თავის და „ჩვენი კვალის“ მკითხველებსაც, რომ „ჩ. კ.“ის კითხვა საჭირო არ არის; თუ მაინცა და მაინც ვერ მოითმენთ, მაშინ ძველი „ივერია“ იკითხეთო.

არ გასჭრა ასეთმა პასსიურმა ბოიკოტმა და ეხლა „ეკალმა“ დემაგოგიას მიჰყო ხელი:

უნდა „ჩვენ კვალს“ თავზე მოახვიოს ბურჟუაზიულობა, შოვინისტობა, მუშათა ხალხის მოღალატეობა და ეს ხომ ნებაყოფლობითი ბოიკოტის საუკეთესო საშუალებაა გულ-უბრყვილო მკითხველისთვის!

„ეკალს“ **არ შეუძლიან** „ძველი აზრების მქადაგებელ“[1]) „ჩვენ კვალს“ თავისი **ახალი** საბუთებით გასცეს პასუხი და ამიტომ მიმართაა ასეთ უკადრის, უზნეო საქციელს.

იქნება მიგვითითოთ ანის „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმზე“ და ა. ჩხენკელის წერილებზე.

ჩვენ გეტყვით: ა. ჩხენკელის წერილები სრულიადაც არ ამართლებენ თქვენ პოზიციას ნაციონალურ კითხვაში. პირიქით. და რაც შეეხება ანის წერილებს, სთქვით, რომ მათი აზრი ახალია, თქვენია—და მაშინ ალბათ ჩვენც გაგცემთ ღირსეულ პასუხს.

„ეკლის“ დემაგოგია და მისაგან „ჩ. კ.“ის დამცი-
რება დააგვირგვინა მისმა მეფელეტონემ გ-მ. [1])
და რადგან გ. და „ეკალი“ სინონიმები არიან, ამი-
ტომ გ-ს მაგიერ ვხმარობ „ეკალს“.

მე აქ არ ვეხები კითხვის არსებით მხარეს, რადგან
პოლემიკა რომ შესაფერ კალაპოტში იყოს ჩაყენებუ-
ლი, მაშინ იმაზე ბევრი დაიწერებოდა და ითქმოდა,
მაგრამ მე ვეხები მხოლოდ ეხლანდელ პოლემიკის აუ-
ტანელ ფორმას.

„ეკალს“ არ უნდა თავისთავის გარდა სხვა მიმდინარეობის მოქალაქეობრივი უფლებაც იცნოს, მუშათა საქმეში ის თავის-თავს აღიარებს ერთად-ერთ მონოპოლისტათ, სხვები კი სულ ყალბები, მატყუარები და მაცდურები არიან.

„ეკალმა“ რითაც კი შესძლო, დაამცირა და გაათახსირა „ჩვენი კვალისა“ და მის მიმდევრების მნიშვნელობა.

ვ. დ—ლს, ამ თავიანთ მახლობელ ამხანაგს, მთელი ორი წლის განმავლობაში მათივე ორგანოების მეთაურს, მეცნიერების ხარისხით დაჯილდოებულ კაცს, მარქსიზმის ცოდნაში **ვირებს ადარებენ**, და ისიც უბოდიშოთ.

სამაგიეროთ, რითაც კი შესძლო, გაზარდა და გააზვიადა თავის მნიშვნელობა და ძალა.

მას ვითომდა აინუნშიც არ მოდის „ჩვენი კვალის“ არსებობა: იგი ვითომდა არც კი ფიქრობს მადლიანი ბრძოლა გაუწიოს მას.

ის იძახის, ბეღურებს ზარბაზნებს არ ესვრიანო.

მაშ რაღა არის, ბატონებო, ეს თავგანწირული, ყოველ გვარ მიმზიდველობას მოკლებული კამათი?

მართლა ზარბაზნებით ხომ არ გინდათ იბრძოლოთ? მაგას „ჩ. კ.“ი სრულიადაც არ ელოდება. იცით რას მოგაგონებთ, ამხანაგო ეკლელებო, როცა ვეღარ ისვენებთ „ჩვ. კვალის“ ყოველი ნომრის გამოსვლაზე... მაგრამ დარჩეს. ტყულათ არ გინდათ გაიტეხოთ ეხტიბარი!

„ეკალს“ ალბათ ისეთი მოპირდაპირე ეჭირვება, როგორიც იყო „მუშა“, რომ თავისი ლანძღვა-გინების გადაჭარბებით ხმა აღარ ამოაღებინოს.

ნუ თუ თქვენ გეინტერესებათ თქვენი მოპირდაპირეებიც იმავე გარემოებაში ჩააყენოთ, როგორშიაც თქვენ იყავით ჩაყენებული „მუშისაგან“?

დაფიქრდით კარგათ, არ შეგფერით ეგრე ქცევა!

P. S. აგრეთვე პოლემიკის ეთიკურ მოსაზრებით არ ვეთანხმები „ჩვ. კვალის“ სარედაქციო წერილების ზოგიერთ ადგილს, თუმცა გულ-წრფელ, მაგრამ მაინც შეუფერებელ კილოს ამაღლება. მაგრამ ეს საერთოდ წვეთი წყალია „ეკლის“ ლანძღვა-გინების მორევში.

ლელი.

ნ ე ტ ა ვ ი მ ა ს!..

ნეტავი მას, ვინც კი გვემულ-დაჩაგრულს,
მშიერ-მწყურვალს ძმურად გაუწოდებს ხელს,
უნუგეშოს, დავრდომილს, ძირს დაცემულს,
ზე-აღადგენს უმწეოს, ფეხ-ქვეშ გათელილს.
და თუ ჰნახავს მეგობარს ატირებულს,
მწარედ მგმინავს, ობლად შთენილს, მწუხარეს,
ნუგეშსა სცემს, ხელს მისცემს გაჭირვებულს,
მით შეაშრობს თვალთ-მომჩქეფარ მდუღარეს.

---

[1]) ჩ. კ“-ის მიმართულება ეს ახალი მიმდინარეობაა ჩვენ ს-დ-იაში, დიაღ!

[1]) ნეტავი როდის ვეღირსებით, რომ ჩვენ პუბლიცისტებში ძირიან-ფესვიანათ აღმოიფხვრეს დემაგოგიისა და ლანძღვა-გინების ნიჭი!

ნეტავი მას, ვინც რომ გაუმჯობესება
აუტანელ ჩვენს ცხოვრებას ბიდწ-დუხჭირს,
მხნედ, უშიშრად ძლავრად შეეწიდება
და შეჭმუსრავს, სძლევს ყოველგვარ გასაჭირს,
ვინც ლაჩრულად მჭმუნვარებას და გლოვას
არ ეძლევა, ებრძვის უიმედობას
და მოწოდებ გულზე სევდათა გროვას
შორს, შორს ჭფანტავს, უმაგრდება ძლავრთ მტრობას.

———

ნეტავი მას, ვინც კი თავ-განწირულად
დეშინთ რისხვას ორრს დროს შეუერ ეს
და რომ ესმის მოძმეთ რბევა, გმირულად
მტერს მოსეულს მსწრაფულ ვეფხვებრ ეკვეთება.

———

ნეტავი მას! დიახ, ვაშა მის სახელს,
ვინც გმირულად თვის სიცოცხლეს და ძალს
ხალხს შესწირავს! ორ დ უშვებს მოდგილ ხელს,
იქნეს ცელს და ჭკვეფავს ეკლიან სავალს.

გ. ქუჩიშვილი.

მუშა—ფილოსოფოსი *).

———

დიცგენი იწყებს გონების გარჩევას-„კრიტიკისაგან“, რაც დასაბამიდან აუცილებელ შინაარსს წარმოადგენს ყოველ ფილოსოფიურ მოძღვრებისას. თუ ჩვენ გონების მუშაობას კარგათ გავიგებთ და შევიგნებთ, ამით ისეთ კრიტერიუმს შევიძენთ, რომლის საშუალებით ადვილათ გავარჩევთ კარგსა და ავს, ჭეშმარიტებასა და მრუდე შეხედულებას; ერთი სიტყვით, შემეცნების სფერაში გზა გაკვლეული გვექნება. ფილოსოფიის მუშაობამ დღევანდლამდე ვერ შესძლო გონების შინაარსის გაგება-ახსნა, სპეკულიატიური აზროვნება, მოცილებული რეალურ სინამდვილეს, გრძნობათა ქვეყანას, მეცნიერებას, მეტაფიზიკურ სივრცეში დაფრინავდა; დღეს, როგორც იქნა, ფილოსოფოსებმა გაიგეს, რომ ადამიანის გონება კი არ ქმნის სინამდვილეს, არამედ სინამდვილე გრძნობათა გამოცდილების *) საშუალებით წარმოშობს გონებრივ მუშაობას, რომ ყოველი გრძნობათა გარეშე მყოფი, მომქმედი შემეცნება მრუდეა. მაგრამ ეს ჭეშმარიტება, თანამედროვე მეცნიერების დასკვნათა ნიადაგზე დამყარებული, მათი შემაერთებელი აბსტრაქციაში, დიცგენის აზრით, როდია საზოგადოებრივი შეგნების საკუთრება; ამიტომ, საჭიროა საგანგებო გამორკვევა გონების ბუნებაშინაარსისა და ამით შემეცნების პრინციპების ნათლად გამოტანა კაცობრიობის გონებრივ ცხოვრებაში. და აი დიდებული ფილოსოფოსი უდგება აზროვნების ანალიზს. მის შესანიშნავ ნაწარმოების: Das Wesen der menschlichen Kopxarbeit“-ის მეორე თავში დიცგენი ამბობს: „აზროვნება არის ფუნქცია ტვინისა, ისე როგორც წერა ფუნქციაა ხელისა. და რამდენათ ანალიზი ხელისა გვშველის ჩვენ იმ კითხვის გადაწყვეტაში, თუ რა არის წერა, იმდენად ფიზიოლოგიურ გამოკვლევას ტვინისას შეუძლია დაგვეხმაროს აზროვნების პრობლემის გადაწყვეტაში“. მაშ როგორაა აზროვნება ტვინის ფუნქცია? ამ კითხვაზე ფილოსოფოსი ასეთ პასუხს იძლევა: „იმისი ცოდნა, რომ აზროვნება არის შედეგი ტვინის მუშაობისა, გვაახლოვებს ჩვენ ჩვენ შესწავლის ობიექტს (საგანს) იმდენად, რომ ის ფანტაზიის სამეფოდან, სადაც მოჩვენებანი დახეტიალობენ, სინამდვილის სინათლის სფერაში ეშვება. არა მატერიალური სუბსტანცია **სული** იქმნება ასე და ამგვარად **ხორციელ მოქმედებად**“ (Das Wesen 52, 53). როგორც ვხედავთ, ფილოსოფოსის აზრით, ადამიანის აზროვნება არავითარ მისტიკურსა და შემეცნებისათვის მიუწდომელ კატეგორიას არ წარმოადგენს: რამდენად ჩვენთვის ადვილი გასაგებია ყოველი სხვაგვარი მოქმედება ადამიანისა, იმდენად შესაძლებელია ავხსნათ ის მოქმედებაც, რომელსაც აზროვნება ეწოდება. „აზროვნება ისეთივე მოქმედებაა, როგორც სიარული. ჩვენი შემეცნება აზროვნებისა, სულისა ისე გრძნობიერია, როგორც სიარული, ტკივილი, საზოგადოდ როგორც ჩვენი მდგომარეობები. ჩვენ **ვგრძნობთ** აზროვნებას, როგორც სუბიექტიურს, შინაგან პროცესს“ (Das Wesen). „აზროვნების აპარატი არის ისეთი საგანი, როგორც ყველა სხვა საგნები, არის ნაწილი ანუ აქციდენცია ქვეყნისა; ის ეკუთვნის უპირველესად საზოგადო (ან საყოველთაო) კატეგორიაას **ყოფნისას**“... **შინაარსი** აზროვნებისა, რასაკვირველია, სხვა და სხვა არის, მაგრამ **ფორმა** მისი ყოველთვის ერთი და იგივეა; ასე რომ აზროვნებაში, ისე როგორც ყოველ მოვლენაში, განირჩევა ორი მომენტი: საზოგადო და კერძო, სუბიექტიური და ობიექტიური.

ჩვენ ვთქვით, რომ აზროვნებას შინაარსი აქვს-ქთო; ყოველ „შინაარსს“ კი თავისი განხორციელება სინამდვილეში მოეპოება, ამიტომ აზროვნებასაც თავისი ობიექტი, საგანი, მისი შინარსის კონკრეტიზაცია ესაჭიროება. შინაარსი აზროვნებისა თვითონ აზროვნებაა, მაგრამ ობიექტი, საგანი აზროვნებისა, კონკრეტი განირჩევა აზროვნებისაგან. მაგალითად ხე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ვუნოსავთ, რომლის შრიალი გვესმის, ერთი სიტყვით, ხე—საგანი გრძნობისა, როგორც **შინაარსი** ჩვენი აზროვნებისა, არის თვით აზროვნება, მაგრამ იგივე ხე, როგორც **ობიექტი, საგანი** ჩვენი აზროვნებისა არ თავსდება ჩვენ თავში, ის ჩვენ გარეგ არის.

შემდეგ დიცგენი გადადის იმის გარჩევაზე, თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან **აზროვნება** და **ყოფნა**. ჩვენ გვგონია, რომ ეს ორი მცნება სხვა და სხვას რასმეს წარმოადგენენ და ვამბობთ, რომ ერთი საქმეა — **გრძნობათა ქვეყანა** და მეორე—მისი გონებრივი გამოხატულება-შეგნება (Begrif), მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ თვით აზრს, რაც უნდა აბსტრაქტული იყოს იგი, ჩვენ გრძნობათა საშუალებით ვიმეცნებთ (Erkenen, познаемъ), მაშასადამე განსხვავება აზრსა და საგანს შუა არ არის. „უპირველეს მნიშვნელობის შეძე-

*) იხ. პირველი წერილი, „ჩვენი ქვალი“ № 21.

*) Опытъ, Frxahrunq.

ნად ამ პრობლების გადაწყვეტაში, ამბობს ფილოსოფოსი ერთ ადგილას („Das Acquisit qer Philosophie), უნდა ჩაითვალოს ის ჩვენს დროშ იგავრცელებული აზრი, რომ ბუნება ადამიანის ინტელექტისა ნათესავია ბუნებისა საზოგადოდ... „ეხლა ჩვენ დადასტურებით ვიცით, რომ ადამიანის სული წარმოადგენს განსაზღვრულ ნაწილს განუსაზღვრელ კოსმოსისას, სამყაროსი უნივერსუმისას.“ (Josepu dizpeu)—დიცგენი აქ თავიდანვე საძირკველს უდგამს იმ პრინციპს მატერიალიზმისას, როგორც ფილოსოფიური მიმართულებისას, რომელიც იმას ამტკიცებს, რომ ადამიანის გონება ერთი მოვლენათაგანია საზოგადო ყოფნისა.

როგორც სხვა ობიექტები რეალულ სინამდვილისა, როგორც ყოველი საგანი, აზროვნებაც გამოიხატება სხვა მოვლენებთან დამოკიდებულების საშუალებით. ავიღოთ—მაგალითად—სახლი, როგორც ობიექტი. რისთვის გამოიხატება ის ადამიანის გონებაში? მიტომ, რომ ამ სუბიექტს (ადამიანს) შესაფერი საშუალება მოეპოება—მხედველობა; აი ეს ვითარება რეალობისა, ობიექტისა—ერთის მხრით და გრძნობათა მოქმედებისა, სუბიექტისა—მეორე მხრით, ხდის შესაძლებლად გარეშე ქვეყნის შემეცნებას. აზრიც ასეთ მოვლენას წარმოადგენს; ისე აზრი გაუგებარი რამ არის, თუ მას თავისი ობიექტი არ ახლავს. ტვინის ფუნქცია ისეთივე „წმინდა“ ფუნქციაა, როგორც ფუნქცია სმენისა, გემოვნებისა, მხედველობისა და სხვა. მაგრამ, მაშინ როდესაც ადამიანის სხვა ორგანოები განსაზღვრულ მოვლენათ განაგებენ, ტვინის ფუნქცია—აზროვნება განუსაზღვრელია,—მას მთელი ქვეყანა „ემორჩილება“. „ყველაფერი, რასაც კი ვხედავთ, გრძნობათათვის მხოლოდ მიტომ არის მისაწდომი, რომ ეს (ყველაფერი) მასალად ხდება ჩვენი ტვინის მუშაობისა. საგანი და შინაარსი აზროვნებისა არის ყველაფერი. მოქმედება აზრისა განიზომება **საზოგადოდ** ყველა ობიექტებით.“ (Das Wesen. გვ. 55). ასე რომ ჩვენი შემეცნება ისე განუსაზღვრელია, როგორც თვით რეალობა; ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მთელი ქვეყნის გონებრივი ფოტოგრაფია თავში გვქონდეს,—არა! თუმცა ჩვენ **ყველა** ობიექტების შემეცნების საშუალება გვაქვს, მაგრამ არც ერთის **მთლად**, ზედმიწევნით, ყველა ნაწილებით ე. ი. შემეცნება ვერ გაგვიწევს ობიექტიურ სინამდვილის მაგიერობას... (Das wesen 55-6). ობიექტები არ ილესებიან შემეცნებაში. ბხედველობას ეკუთვნის **რაღაც მეტი** იმაზედ, რასაც ჩვენ ვხედავთ; სმენის სფერას ყველაფერი, რასაც ვისმენთ, აზროვნებას,-ობიექტი; მაშასადამე, კიდევ რაღაც, რაც **ჩვენ აზრის გარეშე იმყოფება**, ჩვენ შეგნების გარეშე“. ჩვენი შემეცნება სინამდვილისა შეიცავს ორ მომენტს, ორნაირად ვიღებთ ჩვენ მას: როგორც **გარეშეს**, რეალობას და—**შინაგანს**, შეგნებას, წარმოდგენას; შინაგანი ქვეყანა—ჩვენი შეგნება და წარმოდგენა—საესებით ვერ გადმოგვცემს რეალურ სინამდვილეს: მაგ., ხე შეგნებული, წარმოდგენილი არის ხე საზოგადოდ, და არა მისი სხვადასხვაობა; წარმოდგენა ან შეგნება იმდენად განირჩევა თვითონ საგნიდან, რამდენად—საზოგადო კერძოსაგან.

მან-წილი.

(შემდეგი იქნება)

„დისციპლინის პორიადკა“.

—·—

კარგს ვერაფერს გახარებთ. მსხვერპლი, მეგობრებო, მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი! „ნაჩალნიკებს“ მატარებელი უმემანქანოთ გამოეშვათ, დაეჯახნენ ერთმანეთს და შეიქნა ზათქი და ზრიალი.

ღმერთმა შეგვიბრალა, ენა არავის არ წამოვარდნია პირიდან, მაგრამ, ქაფიც მსხვერპლია გამშრალ ყანყრატოსათვის.

მე მოგახსენებთ წერა-კითხვის საზოგადოების კრების შესახებ, რომელიც მოხდა წარსულ კვირას. უპირველესი „რაზიეზდები“, სადაც უფარნო მატარებლები შეხვდენ ერთმანეთს, ეს იყო: ბათუმის სკოლა, სადგური აკობია და საზოგადოების ქანქარ-მანქარი, ე. ი. შემოსავალ-გასავალი.

უპირველესი მატარებელი, № 000, რომელიც ელვის უსწრაფეს გამოქანდა, ეს გახლდათ ირაკლი რამიშვილი. ის დაეჯახა „დისციპლინის პორიადკას, კულტურაციას, სპეკულიაციას, ავანსიპაციას“ და სხვა მრავალ ამგვართ. ეს კორიანტელი, თვით რამიშვილს რომ თვის თვალისთვის თითის წატაკება სდომებოდა, არ მიაგნებინებდა. მაგრამ თავმჯდომარე მიხვდა, გამოუშვა ორთქლი და რამიშვილის ზევითა ვაგონი უვნებლივ გადარჩა. მან ამგვარათ, გამოარკვია ბათუმის სკოლის „სპეკულიაცია და „დისციპლინის პორიადკაზე“ დაყენება.

არა ნაკლების სიჩქარით წამოვიდა მისკენ გ. ჟურული, აი ის ჟურული, ერთხელ მე რომ მკრეჰავდა.

— ჩვენ ვეცადეთ, ჩვენ ვცდილობდით, ჩვენ ვიყავით, ბათუმის სკოლა... ქართველ მაჰმადიანთა ყმაწვილები... მოლებსაც კი ქრთამს ვაძლევდით... ეხლა მე რომ მკითხოთ, ბათუმის სკოლა, ბათუმის სკოლაა.

— წკრრრრ... შეაყენა მატარებელი თავმჯდომარემ, ახადეს ზარფუში, რომ პარავოზში ორთქლს ეკლო. გადავრჩით განსაცდელს, გავუძელით ორ ცეცხლმფრქვევ ვეშაპს. მაგრამ დახეთ ჩვენს უბედურებას! ზურგიდან მესამე მატარებელი—ა. მირიანაშვილი გამოქანდა.

— ყმაწვილებო, მორჯულება, ჩემის აზრით, მაგრე არ უნდა, მე ერთხელ მოვლა სიონში ვაზიარე... ამის გარდა ჩ. ყ. პ. წელსა, როდესაც ნაპალეონი მცხეთას შემოესია, ჩვენ იგი უკუვაგდეთ, რადგან კაი მოგვერდი ვიცოდი, ამიტომ ბათუმის სკოლაც...

— წკრრრ... შესდექ! შეაჩერეს რაინდი. საკითხი საკმაოთ გამორკვეულია. ბრძანა თავმჯდომარემ და მიწყნარდა არე-მარე. მატარებლები მეორე შედლუხისთვის დაემზადენ. მანქანებში წყალი მიუშვეს.

აწ ჯერი მიდგა სადგურ პ. აკობიაზე.

— ღალატი! ღალატი! იყიდება პავლე აკობია, ამისი ნება არა აქვს კულტურულ დაწესებულებას. არ უნდა გაყიდოთ ყველაფერი, განურჩევლათ; მიმართულებისა კილოსი, ლანძღვისა, მრუშობისა... გამოვარდა ერთი პარავოზიდან ცეცხლის ენა. ფედერალისტებს თავზარი დაეცათ, რადგან ორატორმა კარგათ ვერ გამოარკვია რა იყიდებოდა, პავლე აკობია თუ მისი უკვდავი თხზულებანი.

— მაშ, თუ აგრეა, იყიდება თქვენი სოსო მაჭავარიანიც! მოუგეს მათ ნიშნი მოპირდაპირეს.

— ცენზურა, დეზინფექცია, არ გაიყიდოს. ცეცხლი, ცეცხლი, ორთავეს, ცენზურა! გიორგი ჟურულს სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა, მას მოაგონდა წარსული დრო, დროი ნეტარი.

— გააღეთ ფანჯრები, გაგრილდით! ურჩიათ ვიღაცამ, მაგრამ ამ დროს კვლავ დაიძრა რამიშვილის „პარავოზი“.

— გამიშვით, გამიშვით! ბატონებო, მე მარქსის გამო ვაწყენინე ერთს ჩემს საყვარელს კაცს, ის მე პროტექციას მიკეთებდა. ეხლა კი აკობია, ვუი მაგისი... გამიშვით! მიმიშვით! ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ ყირიმის ომში ბრძანდებოდით, მეც იქნეი გახლდით, მაშინ აკობია ბალანეი იყო...

— წკრრრ... კმარა, კმარა, საკითხი გამოირკვა, როგორც სჩანს, ომში ყველანი ვყოფილვართ. შეაყენა მატარებლები თავმჯდომარემ და გადავიდენ საზოგადოების ქანქარ-მანქარზე.

— მე ვიყიდე ათი ბატი, დაიწყო დ. კარიჭაშვილმა, ითოში მივეცი ორ-ორი კაპეიკი. ამათგან, წლის განმავლობაში გავყიდე ერთი, რომელშიაც მომცეს სამი კაპეიკი. დანარჩენი ცხრა ბატი საქათმეში მიბია, მაშასადამე, მე, ე. ი. საზოგადოებას, თუმცა ცოტა, მაგრამ მაინც მოუგია, მოუგია ერთი კაპეიკი.

— მეგობარო, შენა სცდები, შენ გიყიდია ათი ბატი, მიგიცია აბაზი, გაგიყიდია ერთი ბატი სამ კაპეიკათ, აღგიდგენია დახარჯულიდან მხოლოთ სამი კაპეიკი, 17 კაპეიკი ზარალი გაქვს, რადგან შენ ბატებს არავინ ყიდულობს. უხსნიდენ დ. კარიჭაშვილს, მაგრამ მას მაინც მოგება რჩებოდა.

— წკრრრ... კითხვა გამორკვეულია, დაუყარა საკენკი თავმჯდომარემ და შეაყენა ორატორები. ამტკიცებთ თუ არა ბატებს?

— ფეშქაში, ინდაურებიც და დაჰკრეს ბეჭედი ანგარიშს.

ორატორებმა ოფლი ჩ. მოიწმინდეს, გადახედეს კრწანისის ველს, სადაც მათ აღემართებათ ძეგლი, ვითარცა ქართველს გამბეტებს და მიიქცნენ სარეცელსა თვისსა.

ასე და ამგვარათ, ნათლათ, დაწვრილებით, გამოარკვიეს მათ საქმის ყოველივე საკითხი. ძნელია ძმაო, როდესაც წისქვილს ხორბალი არ აყრია. ძნელია და სახიფათო, უმემანქანო მატარებლის გაშვება, ძნელია, როდესაც „დისციპლინის პორიადკაზე“ არ მუშაობს გოგრა!

ასე გათავდა კრწანისზე
ორ შებმულ მტერთა ომია,
უყურებთ: შვენით ჩაფხუტი,
სუყველა ერთათ ლომია!
ზოგი გადადის კამარას,
ზოგიც მკლავითა მწდომია,
ირაკლი ქშინავს ვეშაპებრ,
ცხენზე უკუღმა მჯდომია!
დადგა ზღვა მონაქაფისა,
ყანყრატოთ შექმნეს ზავილი,
გმირთა ჰკრეს აკობიასა,
ქვეშიდან ისმის კნავილი!
ვაი, რა ძნელი ყოფილა
უძვალო ენის ქავილი!

ავტორი.

სათარ-ხანი*)

— —

სათარ-ხანი დაბადებით ღარადაღელი არის. ღარადაღი (სპარსეთი) ადერბეიჯანის ჩრდილოეთის ერთ-ერთი მთიანი ადგილია, რომელიც აკრავს ღარაბაღს. ეს მთიანი მაზრა სძევს მდინარე არაქსის მარჯვენა მხარეს, რომელსაც არა თუ მარტო ადერბეიჯანისათვის, არამედ მთელ სპარსეთისათვის უჩუქებია მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, მუჯდეჰიდები (მაღალ ხარისხის სასულიერო წოდების პირები). ღარდაღელი რამდენიმე მუჯდეჰიდები დროებით ყოფილან ქერბალაის უმაღლესი სასულიერო მამები. ქერბალაი შიიტების სალოცავი ადგილია, სადაც ყოველ წელიწადს ემგზავრებიან ურიცხვი შიიტები სალოცავათ.

1850 წლამდინ, ესე იგი, ნასრედინ შაჰის მეფობამდინ, ეს ქვეყანა ფაქტიურათ თავისუფლათ ყოფილა, თუმცა სახელით ესეც ირანის შაჰნ შაჰს ექვემდებარებოდა. ნასრედინ შაჰის პოლიტიკამ დაიმორჩილა არა მარტო ღარადაღი, არამედ ბახტიარელები, ლორისტანელები, შაჰსოვანები და სპარსეთის ქურდისტანის ერთი დიდი ნაწილი (ლარისტანელები და ბახტიარელები ცხოვრობენ ცენტრალურ სპარსეთის შირაზის სამხრეთისაკენ).

ნასრედინ შაჰის მიზანი იყო, დაემონაებინა სპარსეთის მთიულეთის თავისუფალი მცხოვრებნი, რისთვისაც მან 1850 წელს თავის სადრაზამის (პირველი მინისტრი) საშუალებით ადერბეიჯანის მთავრობას გაუგზავნა ერთი საიდუმლო ბძანება, რომელშიც წინადადებას აძლევდა, რომ რუსეთ-სპარსეთის საზღვრების დასაცველათ დაენიშნათ ღარადაღის ერთ-ერთი გამოჩენილი ხანი; იგი ელოდა, რომ ამ გზით ხანების შორის გაიმართებოდა კონკურენცია, რომლის გამწვავებით ხანები ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდენ და მათ ძალა და სოლიდარობა გამოეცლებოდათ.

---

*) ამ მოკლე ბიოგრაფიის შესადგენათ, სხვათა შორის, ვისარგებლე სომეხ ცნობილ მწერალის ბ-ნი ატრეპტის წერილებით.

რომ არ გავაგრძელოთ, ნასრედინ შაჰის დევიზი იყო ლათინური „divide et impera“, რომლის საშუალებითაც ღარადაღის ძლიერი ხანების ძალა გაანაწილა და საქმე იქამდის მივიდა, რომ ხანებმა ირა თუ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს, არამედ ქრთამის საშუალებით ერთმანეთს საზღვრის უფროსობას ართმევდენ და ამ ხარჯების დასაფარავათ ხალხს უდივრათ ყვლეფდენ და მის უფლებებს ფეხქვეშ სთელავდენ. ამით სპარსეთის მთავრობამ ისარგებლა და ყოველივე მხრივ ღარადაღელები დაიმონავა, და რაც ხანებს დაუმთავრებლათ გაეშოთ, ის მთავრობამ შეასრულა. რა თქმა უნდა, რომ ხალხმა ამოდენა ძარცვა-გლეჯას ველარ გაუძლო და 1880 წელს, როდესაც ცნობილ ავაზაკმა, რაჰიმ-ხანმა საზღვრის უფროსობა ხელთ მოიგდო და ხალხს ძარცვა-გლეჯა დაუწყო, ახალგაზდა ღარადაღელებმა ერთი შეიარაღებული ჯგუფი შეადგინეს და 1888 წ. რაჰიმ-ხანს შეებრძოლენ. ამ ჯგუფში მხურვალე მონაწილეობას იღებდა სპარსეთის რევოლიუციის დღევანდელი გმირი, ასე წოდებული, აღმოსავლეთის გარიბალდი, რომელიც ეკუთნოდა რაჰიმ-ხანის მიერ დაზარალებულ ხალხის მასსას. თუმცა ზემოხსენებულ ჯგუფის მოღვაწეობა, ხალხის დასაცავათ, ძლიერ მხურვალე და ენერგიული იყო, მაგრამ ურიცხვ ბაშიბუზუკთა ბრბოს ვერ გაუძლო და დაიშალა, და რადგანაც სათარ-ხანს ღარადაღში ცხოვრება ველარ შეეძლო, ამისთვის იგი თავრიზს გაემგზავრა და ვალიათის (შაჰის პირველ შვილს ასე უწოდებენ) სამსახურში მყოფ, სათარ-ხანის მიერ ამ ახლო ხნებში დამარცხებულ, ეინ-უდ-დოვლეს შეეკედლა. ამ დროს რაჰიმ-ხანი ყაჩაღათ გავარდა და დაიწყო მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება. ნასრედინ შაჰმა ბრძანება გამოსცა, რომ ის შეეპყროთ და თავი მოეკვეთათ. სათარ-ხანი, ხალხის ჯავრის ამოსაყრელათ, ცდილობდა, რომ ამ ბრძანების აღმასრულებლათ ის გაეგზავნათ, მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობის მეთაურთა ინტერესები მოითხოვდენ, რომ რაჰიმ-ხანს არაფერი მოსვლიყო, რადგანაც იგი ყოველ წელიწადს რამდენსამე ათას თუმანს უგზავნიდა მათ და ქრთამავდა. სათარ-ხანმა რამდენჯერმე გაიმეორა თავის თხოვნა, მაგრამ მისი ცდა უნაყოფო დარჩა. მისი მდგომარეობა იმდენათ გამწვავდა, რომ იგი იძულებული გახდა, თავი დაენებებინა სამსახურისთვის, რადგან მისმა კოლლეგებმა აზრი გაუგეს და დევნა დაუწყეს. ამის შემდეგ სათარ-ხანი თავის თავის დასაცავათ შევიდა რუსეთის ქვეშევრდომ ვაჭრების მოთავის ადილ-ხანის სამსახურში, რომელიც რუსის მთავრობის პრესტიჟის საშუალებით ხელუხლებელი იყო და არ ექვემდებარებოდა სპარსეთის მთავრობას.

ბ.ნი ატრპეტი ასე ასურათებს სათარ-ხანს: „ბევრჯელ მინახავს სათარ-ხანი როგორც ადილ-ხანის კანტორაში, ისე სახლში ერთ პირთან, ვისაც იგი ემსახურებოდა, და სოფლებში, სადაც იგი მუბაშის (ხარჯის ამკრეფი) მოვალეობას ასრულებდა. ეს გამხდარი, შავგვრიმანი და აგებულობით წვრილი, მთიული ყოველთვის ჩაფიქრებული და დარდიანი იყო. ხშირათ, ნერგილეს (ყალიონი) მაწოდებდა. შევხედავდი ხოლმე სახეზე, როდესაც დარდიან თვალებს მომაშორებდა, ხმის ამოუღებლათ მობრუნდებოდა და გავიდოდა ოთახიდან. ვინ მოიფიქრებდა თუ მის გულში რა ტრიალებდა და რაზე ფიქრობდა იგი მუდმივ“.

ჩვენ კი დავუმატებთ, ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს ბედისაგან დევნილი კაცი, 13 წლის შემდეგ, გააკვირებს თავის ვაჟკაცობით მთელ ქვეყანას, რომ ასე მედგრათ შეებრძოლება ძველ რეჟიმს, მრავალჯერ დაამარცხებს მის ბნელ ძალებს და ამაყათ ააფრიალებს თავისუფლების დროშას.

Artemius.

(გაგრძელება იქნება)

* * *

დიად მზის სხივებს, ჩემს სოფელ-ვენოს,
რათ ვუალერსებ, ან რადათ ვალი?!
ტყვეთ შეეუბერივარ ბოროტ სიმეფოს,
ვ ნ შემიბრალებს, ვინ არის მხსნელი?

დაკოდილს, გაუმულს, გულ-სისხლიანსა
თავზე მეგდება წუგდიადი—ბნელი...
არარაობა მეყვს ჭირისუფლათ,
ტრემლებს მაურიან კედლები სველი.

მოზდვა და ქვეშა... დამძარა წყალმა—
სხივს, სალერსოს, ჩამოგწედი მარად...
ავსულთ კისკასი ზომესმის მხოლოთ,
დამკვეის ჭოტი გულ შესაზარათ!

ტაბიდის ოცნებით ვკლავ სინამდვილეს,—
ვიწვევ სიკვარულს... მხსნელს-მფარველს ველი,
მაგრამ ამოთ, არარა მისმენს;
ჩამოტირიან კედლები სველი.

ტყვეს, დამარცხებულს, ხელ-ფეხ შებორკილს,
შეშმსისინებს მტურვი—გველი,
გული არ ცხრება, გული ოცნებობს,
კურბის წუგდიადს... არა სჩანს მხსნელი!

ბაბ—ი.

თეატრი.

წარმოდგენა ავჯალის აუდიტორიაში

„ცხოვრების გარეშე“. დრამა 4 მოქ. ბროტოპოპოვისა.

როგორც იქნა, ეშველა და ყურადღება მიექცია ავჯალის აუდიტორიას. სახალხო უნივერსიტეტთან დაარსებულ თეატრალურმა სექციამ 11 ოქტომბერს დაიწყო წარმოდგენების მართვა. არ შეგვიძლია სიამოვნებით არ მივეგებოთ ამ მოვლენას მით უმეტეს, რომ დასი საკმაოთ გამოცდილ და ენერგირულ პირებისაგან შესდგება. ამ დღეს წარმოადგინეს პროტოპოვის დრამა „ცხოვრების გარეშე“. შევჩერდეთ ცოტა ხნით ამ პიესაზე.

მდიდარ, არისტოკრატ ტატარცევს ყავს ორი შვილი: ქალი ელენა (ქ-ნი ბოგოლაშვილი) და ვაჟი იური (ბ. ჯაბაური). ფარდის ახდისას, ელენა იზეპირებს სიტყვას, რომელიც უნდა წარმოსთქვას მან პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრებაზე. ელენა დიდი მოსარჩლეა პირუტყვების, მას პირივით ეჯავრება ის „ფი-

ზიოლოგები, რომლებიც ცხოველებს“ აწამებენ და კლავენ მხოლოთ იმისთვის, რომ გაიგონ მისი თვისება. ამავე დროს, ელენას დედა, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეა, რომელსაც მიზნათ აქვს ღარიბებს დახმარება გაუწიოს.

ასეთია მათი საგარეო მოქმედება! მათ ქვეყნის მარილათ მოაქვთ თავი; ისინი თვით პირუტყვებაც არ სტოვებენ უყურადღებოთ და ამით, რასკვირველია, ამაყობენ კიდეც... მაგრამ, აბა დაუგდეთ ყური, რა ნაირია მათი შინაური ცხოვრება?

მაშინ, როცა პირუტყვების დაცვაზე და ღარიბების დახმარებაზე ხმა მაღლა გაჰყვირიან, ამ დროს თავიანთ მოსამსახურეებს მიწასთან ასწორებენ, არა რათ ხდიან. ქ-ნი ელენა სიტყვის თქმის ნებას არ აძლევს თავის მოსამსახურეს—პოლიას (ქ-ნი ქიქოძე), და მას ლანძღვა-გინებით გარეთ აგდებს. იური, მოსამსახურე იაკობს (ბ. ბაქრაძე) ძმის სანახავათ არ უშვებს, რომელიც საავთმყოფოში კვდება, მხოლოთ იმიტომ,—„ტანისამოსი ვინ უნდა მომაწოდოსო“?! ელენას, რომელიც ღამის ორ საათზე ბრუნდება კრებიდან, მოყავს ძაღლის ლეკვი და მოსამსახურეს უბრძანებს, რომ მზარეულმა (ბ. გოცირიძე), რძე აადუღოს ლეკვისათვის. მზარეული უარს ამბობს, რადგან ფეხი სტკიებია, მაგრამ გაცხარებული ელენა თავისთან იბარებს მზარეულს და ემუქრება: თუ რძეს არ აადუღებ, ვეტყვი მამას და ხვალიდანვე დაგითხოვსო. დიახ, ამას ეუბნება ელენა მზარეულს, რომელსაც აქ ჩაულევია თავისი სიცოცხლე!.. მაგრამ, ამით არ თავდება მათი არა ადამიანური დამოკიდებულება.

იური სიყვარულს უცხადებს პოლიას. ამ უკანასკნელს ის მართლა უყვარს, და იური აცდენს მას. პოლიას ვერ წარმოუდგენია, რომ ის თავის ბატონს სულით და გულით არ უყვარდეს. მას არ სჯერა მისი მეგობრის—მზარეულ ოსიპის რჩევა, რომ ბატონი არ არის სანდო. დიახ, არ სჯერა სანამ... ის არ წააწყდება იურის, როცა ეს უკანასკნელი მეორე ქალს—ნატალიას (ქ-ნი ანდრონიკოვი) სიყვარულზე ეფიცება.

პოლია ნამუს ახდილია, იური კი უარს ეუბნება შერთვაზე, და არა თუ უარს, სასაცილოთაც არ ყოფნის მისი გულიდან ამონახეთქი სიტყვები... საქმეში ერევა იურის მამა. მას, რასაკვირველია. სწყინს ასეთი შემთხვევა და უნდა საქმე „კარგათ“ მოაგვაროს. საშუალებაც მზათ არის! ის უცხადებს პოლიას, რომ ეს უკანასკნელი ხვალვე უნდა წავიდეს მისი სახლიდან, „სამაგიეროთ ის აძლევს მას 1000 მანეთს. ამ ფულით, ტატარცევის აზრით, პოლიას შეუძლია „მონახოს შესაფერი საქმრო და მშვიდათ იცხოვროს“... დიახ, გაუპატიურებულ, ნამუს ახდილ ქალს, ფულით აკმაყოფილებს და ამით თავის მოვალეობას მოხდილათ სთვლის. ან კი რატომაც არა! ნას ხომ პოლია, როგორც მოსამსახურე, ადამიანათ არ მიაჩნია, რომელსაც აქვს წმიდა, ძვირფასი გრძნობები და ამიტომ, მისი აზრით, ფულით დაჯილდოება სრულიათ საკმარისი იქნება... მაგრამ, სცდება! პოლია ატყობინებს, რომ ისიც ადამიანია და ამიტომ ფულის მიღებაზე უარს აცხადებს: „მე ჩემ სიყვარულს, ჩემ გრძნობებს, ფულზე არ ვყიდიო“...

პოლია მიდის ტატარცევის სახლიდან, მაგრამ სად, არც თითონ იცის... ბურჟუაზიული საზოგადოება ჯურღმულებისკენ ისვრის მას, „ცხოვრების გარეშე აყენებს“... პროსტიტუტკების რაზმს კიდევ ემატება ერთი წევრი.

გადის წელიწადი, რაც პოლია წავიდა. მაგრამ ერთ დღეს მას შემთხვევით ხვდება ქუჩაში ოსიპი და მოყავს სახლში ამბების გამოსაკითხავათ. ოსიპს უხარია, რომ პოლია, მისი მეგობარი, კარგათ არის, კარგათ გამოწყობილია, და ეკითხება თუ სად მსახურობს, მაგრამ... პოლია ეუბნება, რომ ის არსად არ მსახურობს, რომ ის ამევს შოულობს ისე.. თავისით!.,

ამ დროს შემთხვევით შემოდის იური, რომელიც ცნობილობს პოლიას... ის ლანძღავს ოსიპს, რომ ზნედაცემული კაცი სახლში შემოყავს...

პოლია პასუხს სთხოვს იურის, მაგრამ იური სიცილით უპასუხებს. პოლია მოაგონებს იურის იმ სიტყვებს, რომელთაც ეუბნებოდა მას, როცა სიყვარულს უცხადებდა, მაგრამ იური ყურადღების ღირსათაც არ სცნობს და ზიზღით უყურებს...

მას მართალი ჰგონია თავის თავი. ის არ არის დარწმუნებული, რომ პოლიას უფლება აქვს, პასუხი მოსთხოვოს მას. „მოახლე ყველგან მოახლეა, როგორც სიყვარულში, ისე სხვაშიც“. „ჯერ გახდი ადამიანი და მერე მოითხოვე ადამიანური უფლება“. აი, იურის სიტყვები! აი, ის მოტივები, რომლითაც ის ხელმძღვანელობს... როცა იური გებულობს, რომ პოლიას შვილი ყავს, ის თავის მამასებრ ფულს აწოდებს, მაგრამ, პოლია მასაც უარს ეუბნება...

„თქვენ შეურაცხყეთ მოახლე, და არა მე, სულერთია, ვინც უნდა ყოფილიყო ჩემს ალაგას, მასაც იგივე ბედი ეწვოდა“. ეს არის პოლიას უკანასკნელი სიტყვა. ამით შორდება ის თავის ბატონ-დამღუპველს.

აი, ჯილდო, რომელიც არგუნა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ მოსამსახურეს, მოახლეს. მაგრამ ამით არ თავდება ბურჟუაზიის მოღვაწეობა, ამით არ თავდება მოსამსახურეთა უბედურება!..

როგორია ბურჟუაზიის ქველმოქმედება? მართლა ისეთი თავგამოდებული მფარველია ის ღარიბთა?

ტყუილია! ბურჟუაზიის იეზუიტიზმი მთელი თავის სიგრძე-სიგანით გადაიშლება ჩვენ თვალწინ, როცა საქველმოქმედო საზოგადოების გამგე უარს ეუბნება დახმარებაზე ქვრივ, ობლებიან ქალს იმ მოსაზრებით, რომ გამგეობამ გამოიძია თქვენი შეძლება და აღმოჩნდა, რომ თქვენ ხუთ ოთახიანი სახლი გქონებიათო, თუმცა არავითარი ამგვარი არ ყოფილა; ან კიდევ, როცა სხვა ქალაქიდან მოსულ სტუდენტს, რომელსაც სამი დღეა არაფერი უჭამია, უარს ეუბნებიან დმხმარებაზე მხოლოთ იმისთვის, რომ ის სხვა უბნის მცხოვრებია.

ასეთია ბურჟუაზიული ქველმოქმედება, ასეთია მისი ჰუმანიზმი!

გადავხედოთ ერთხელ კიდევ იმ ადამიანებს, იმ პირუტყვებათ ქცეულ ადამიანებს, რომელთაც ბურჟუაზიის ენაზე მოახლე, მოსამსახურე ეწოდებათ.

ის ბარემოება, რომ ცოლს, რომელიც მოახლეთ მსახურობს არ შეუძლია ნახოს ქმარი, რომელიც სადმე, სხვაგან მოსამსასურეთ არის, იწვევს მათი ოჯახის დარღვევას. ტატარცევის მეორე მოსამსახურე—დუნიას (ქ-ნი თამარაშვილი), რომლის ქმარი მეეტლეა და სამ თვეში ერთხელაც ვერ იხილავს თავის ცოლს, სიყვარულს უცხადებს მოსამსახურე იაკობი... დუნიამაც, რა ქმნას! მას დაკარგული აქვს ოჯახის აღდგენის იმედი, დაკარგული აქვს იმედი ნახოს და გულში ჩაიკრას თავის ბიჭიკო, და ამიტომ თანხმდება გაიძვერა იაკობთან იქონიოს დამოკიდებულება, რომელიც ამავე დროს, ასევე ატყუებს სხვა მოსამსახურეებსაც.

დიახ, „მოახლეთა“ ოჯახი ირღვევა, მას ნთქავს ბურჟუაზიული ოჯახი...

ასეთი გახლავთ პროტოპოპოვის „ცხოვრების გარეშე“. ასეთი გახლავთ ის სოციალური ურთიერთობა, რომელიც შობს ამგვარ კომბინაციებს... საზოგადოება დღეიდან „იცნობს“ ტატარცევის ოჯახს, საზოგადოება იცნობს ერთხელ მშვიდ, უმწიკვლო პოლიასაც, რომელიც დღეს უკუღმართობის მოლიპულ დაღმართზეა დაქანებული; საზოგადოებამ იცის მიზეზი პოლიას დაღუპვისა და მის დამღუპველს შესაფერ მსჯავრსაც დასდებს!

ერთხელ კიდევ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პიესის ასეთი ასრულება ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რადგან, მართალი მოგახსენოთ, კარგახნის გულგატეხილი ვიყავით. სახალხო უნივერსიტეტის სექციის ეხლანდელი დასი როგორც ვთქვით, საკმაოთ შეიარაღებულია შესაფერი ძალებით. ამ დღეს წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა. მაგ. ქქ. გოგოლაშვილი, ანდრონიკაშვილი, თამარაშვილი და ქიქოძე კარგები იყვნენ. განსაკუთრებით ქ.ქ. გოგოლაშვილი და ქიქოძე ჩვენის აზრით საუცხოოთ თამა-

შობდენ. უკანასკნელი კარგი იყო მით უმეტეს იმ ადგილებში, სადაც ის ტატარცევსა და იურის ელაპარაკება. საუცხოვო იყვენ ბ.ბ. ბაქრაძე და ბოცირიძე. ბ. ჯაბაურს არა უშავდა რა, ასევე ითქმის ბ-ნ ხახანოვზე. საზოგადოთ ამ ორს, რამდენათაც ჩვენ შევნიშნეთ, როლი ნაკლებ შეესწავლათ. სხვები ანსამბლს ხელს უწყობდენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. ინაშვილს ნიკიფორეს როლი სრულებით არ უხდებოდა უმჯობესი იქნებოდა თუ სხვა როლს აიღებდა.

წესრიგი საზოგადოთ, გვარიანი იყო. თუმცა, წინანდელ „წარმოდგენებზე“ დაჩვეული ზოგიერთი „თავისუფლების მოყვარე“ ყმაწვილები ხანდისხან გაილაშქრებდენ ხოლმე ადმინისტრატორთა წინააღმდეგ, მაგრამ, საზოგადოთ, წინანდელთან შედარებ-თ დიდი ცვლილება იყო.

სამწუხაროთ, წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო. მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ აფიშების **გა**კვრა დროზე ვერ მოესწროთ. იმედია მომავალში ეს არ განმეორდება და საზოგადოებასაკმაოთ დაესწრება.

პარნასი.

ქ. ქუთაისი. აქაური, სპეციალურათ ქართული წარმოდგენების მმართველი დრამატიული საზოგადოება დაიქსაქსა, დაქუცმაცდა იმ საგრძნობელ დეფიციტების გამო, რომლითაც ის ყოველ წარმოდგენიდან უიმედობას ეძლეოდა. ვერ აიტანა ამხანაგობამ საზოგადოებისგან მოულოდნელი ასეთი გულგრილობა და ამ წლის სეზონის გაგრძელება ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა; კინაღამ შეწყდა წარმოდგენების მართვა ხარჯების დაუკმაყოფილებლობის გამო... მაგრამ სავსებით სული ძინც არ დაუღაბავს სცენიურ ხელოვნებას; დრამატიულ საზოგადოების ამხანაგობამ ერთხელ და უკანასკნელათ კიდევ სცადა რომელიმე პიესით მაინც შეერყიათ აქაური საზოგადოების თეატრისადმი აპატია—და მართლაც, ამ ცთომ უნაყოფოთ არ ჩაიარა. ხსენებულ ამ საზოგადოებამ მონახა კიდეც ამგვარი, თანამედროვე, მაღელვებელ კითხვებ-პასუხებით აღსავსე მისტერია-ცნობილ ბელგიელ სიმოლისტ-დრამატურგ მეტერლინკის სამ მოქმედებიანი სასწაული „და ბეატრისა“, ადგილობრივმა დასმა კვირას, 12 ოქტომბერს ქ-ნ ნინა ჩხეიძის მონაწილეობით „სცადა“ ამ დრამის წარმოდგენა. შარშან ესევე პიესა თფილისშიაც დაიდგა ბ-ნ შალიკაშვილისა და ქ-ნ ნინო ჩხეიძის თაოსნობით. ამ პიესამ მოსალოდნელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; ერთი აურზაური ატეხა მის პირველათ სცენაზე მოვლინებამ და ბევრი სტატიებიც დაიწერა მის შესახებ.

აი სწორეთ ამ წინასწარ აზრთა შეჯახებამ და ჟურნალ-გაზეთების მიერ ატეხილმა დავამ ამ საგანზე გამოიწვია მსმენელ საზოგადოების არაჩვეულებრივი, მოულოდნელი მოზღვავება თეატრში; ზედმეტ ბილეთების გაყიდვის მიუხედავათ ბევრი გალდაწყვეტილი დაბრუნდა.

ორიოდე სიტყვა თვით პიესაზე და მის შესრულებაზედაც. მოგეხსენებათ მეტერლინკი, ამ ბოლო წლებში ლიტერატურულ ხელოვნებაში მიმდინარე მატივისიმოლიზმის საუკეთესო წარმომადგენლათ ითვლება, „ბეასტრისაში“ ავტორი ატარებს, თითქოს სჭრის კიდეც, დღევანდელი საზოგადოების მაღელვებელ, მის სულსა, გონებისა და გულის მაშფოთებელ „სილამაზის“, „სიმშვენიერის“, სიყვარულის საკითხს. მისი აზრით, თუ ურთიერთშორის სქესობრივი სიყვარული სპეტაკი და წმიდაა, რა ფორმაშიაც უნდა გამოიხატოს იგი, მაინც ეს გრძნობა **სიკეთეა**, საგმირო საქმეა, რომელსაც თვით განგება, ღმერთი, ციური ძალა, მაღალი არსი (პიესაში მადღონა) ხელს უწყობსა და ამართლებს. პიესა დიდათ საინტერესო და ორიგინალური ნაწარმოებია.

შევეხოთ თვით წარმოდგენის მიმდინარეობასაც. სამართალი მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ დასს ყოველგვარი საცდელი ელონა, რათა პიესას მნიშვნელობა არ დაჰკარგოდა, რისთვისაც ბევრი რამ ახალი, ტეხნიკური მხარეების გაუმჯობესებით, შეეძინათ ამ პიესისთვის, მაგრამ მაინც, რასაკვირველია, ასე ძნელათ შესასრულებელი პიესა, და მეტადრე ძნელათ გასაგები ქუთაისის სცენაზე, სავსებით ვერ შესრულდებოდა. ერთი უხერხულობა ის იყო, რომ სილამაზის, სიმშვენიერების განხორციელება, მადღონას მაყურებელი პირის-პირ ვერ უცქეროდა, ქანდაკება ზურგ შექცევით იდგა ავანს ენაზე და შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. სამაგიეროთ, მაყურებელთა გრძნობებზე სამოქმედებლათ წარმოდგენა მიმდინარეობდა სიმღერიანი მუსიკის წყნარ მელოდიურ ხმებით; მაინც პიესის ასრულებას ბევრი რამ აკლდა. შესანიშნავათ, შეუდარებლათ დასძლია ქ-ნ ნინო ჩხეიძის ასულმა „და ბეატრისას“ პასუხსაგებელი როლი. მხოლოდ უხერხული ის იყო, რომ მეორე მოქმედებაში მადონას გამოხატავდა, მხოლოდ პირველსა და მესამეში ბეატრისას ასურათებდა, რაც შთაბეჭდილებას ახდენდა. კარგი იყო ბ-ნი მ. დადიანიც მონასტრის გამგის „მამის“ როლში. სისწორით მოეწყო მეორე მოქმედებაში მადონას ხორცშესხმულობის დროს გლახაკთა შემოსვლაც. მეტს მოველოდით ქ-ნ ივანიძეგან. რაც შეეხება დანარჩენ პირთ—დანარჩენ მონაზონთა როლს ამსრულებელთ არც ერთი თავს არ გრძნობდა თავის ადგილას, არევ-დარევით, შეუთანხმებლათ მოქმედებდენ. სისწორითვე გადმოგვცა ბ-ნმა ზარდალიშვილმა პრინცის როლი.

აქვე გავიხსენიებ, რომ წარმოდგენის წინ ბ-ნმა დადიანმა სწორედ კარგათ მოიქცა: მან მდაბიოთ, მოკლეთ გააცნო დამსწრეთ მეტერლინკის პიროვნება და გაუმარტა მისი თვალსაზრისი, მისი პოეზიის ძირითადი თვისებები.

შემდეგი პიესა მიდის კვირას, სახელდობრ იუშკევიჩის დრამა „მეფე“.

სერ—ჟორჟ.

პროვინცია.

ზემო სვანეთი. ქურდობამ ღრმა ფესვები გაიდგა მთელს სვანეთში. იშვიათია ისეთი ახალგაზდა, რომ წელიწადში რამდენჯერმე ცხენი არ მოიპაროს ოსეთსა

ე. ი. (ყარაჩაში, ჩერქეზეთში, ბახსანსა და ჩეგემში) და სამეგრელოში. ამ გარემოებამ კი დიდი შური და სიძულვილი დაბადა სვანებსა და ოსებ შორის. შარშან ზაფხულში ამ ნიადაგზე რამდენიმე მკვლელობაც მოხდა. ასეთ გარემოებას კი, ვისიც ჯერ არს, ძალიან მცირე ყურადღებას აქცევს. მაგ. ამას წინათ რამდენიმე პირებმა ოსეთში ცხენები მოიპარეს და გადმოიყვანეს სვანეთში. ოსები გამოუდგენ ქურდებს კვალდაკვალ და მოყვნენ სვანეთში. მათ მიმართეს დახმარებისთვის ადგილობრივ ბოქაულს, მაგრამ ამ უკანასკნელმა რჩევა დაუწყო მათ მორიგებით გაეთავებინათ საქმე ცხენების მომტაცებლებთან... ასეთი შემთხვევების გამო დამოკიდებულება ოსებსა და სვანებს შორის მით უფრო მწვავდება და თუ ეს ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია ძალიან ცუდი შედეგები. **სგიმიერელი**

——

ს. ასკანა (გურია). სიკვდილის პირზეა ჩვენი სამკითხველო მისული. ორი წელია, რაც ის დაკეტილიაა და მის გახსნაზე დღემდე არავინ არაფერს ამბობს. სხვაგან ახალს აარსებენ, ჩვენ კი დაარსებულს ვლუპავთ. დროა მივაქციოთ ამას ყურადღება. სამკითხველოსთვის შენობა არის, მაგრამ ის სანახევროთ დალპა და ლამის მთლათ დაინგრეს. ასე სამკითხველოს მივიწყება სირცხვილია, სხვა არა იყოს რა. ამიტომ, იმედია, ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას საზოგადოების მოწინავე პირები და აღძრავენ კითხვას სამკითხველოს აღდგენის შესახებ. **ინკო-გნიტო.**

კოოპერატიული საზოგადოებები და პროფესიონალური მოძრაობა.

(ებრაული გაზეთიდან)

ამ უკანასკნელ დროს რუსეთის მუშათა მოძრაობაში ვამჩნევთ ახალ, საინტერესო მოვლენას—კოოპერატიული საზოგადოებების განვითარებას.

კოოპერატიული მოძრაობის ცენტრათ ითვლება პეტერბურგი, სადაც მოქმედობს ახლათ დაარსებული „შრომათა კავშირი“, ე. ი. კავშირი მომხმარებელ—მუშათათვის. „შრომათა კავშირი“ აღებს მუშათა უბნებში მომხმარებელ დუქნებს და მწარმოებელ საზოგადოებებს (მაგ. პურის საცხობებს და სხ.). ეს მოძრაობა იზრდება დღითი დღე. მეტადრე მის ზრდას ხელს უწყობს ვიბორგის რაიონი პეტერბურგში; აქ „შრომათა კავშირმა“ თავის ოთხი თვის არსებობის დროს მოასწრო გავრცელება ყველა დიდრონი ფაბრიკების მუშათა შორის, სადაც „კავშირის“ მომხმარებელთა დუქნებმა უკანასკნელ 23 დღის განმავლობაში გაყიდა 7,300 მანეთის საქონელი.

კოოპერატიული აძხანაგობები იზრდებიან და ვრცელდებიან, მიუხედავათ სასტიკი დევნისა და წინააღმდეგობისა, უმეტეს შემთხვევაში სანოვაგით მოვაჭრე ჩარჩების მხრით, რომლებიც ჯაშუშობასაც კი სწევენ როგორც „შრომათა კავშირის“, ისე ორგანიზაციების“ წინააღმდეგ. „რადგან ესენი ხელს უწყობენ რევოლიუციას“. განვითარება სანოვაგეთა ამხანაგობებისა, ისე, როგორც უდიდესი ზრდა პროფესიონალური მოძრაობისა, ხელს უწყობს მუშათა მასის აღზრდას, ახალისებს მის თვითმოქმედებისა და ორგანიზაციულათ მოწყობის საქმეს. პროლეტარიატის მაღალ წრეში, იკრიბება უზარმაზარი ძალა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევისთანავე შეუერთდება პოლიტიკურ ენერგიას.

ეჭვი არ არის, რომ მწარმოებელთა ამხანაგობები, რომლებიც აერთებენ მუშებს, რამდენიმეთ უადვილებენ ცხოვრების პირობებს და აფართოებენ პროლეტარიატის ბრძოლის საშვალებებს. მაგრამ ამავე დროს ასეთი ამხანაგობები მუშათა მოძრაობისათვის წარმოადგენენ სახიფათო დაწესებულებებსაც. მწარმოებელი კოოპერატივები (თავისი მექანიზმით) ეს კაპიტალისტური წარმოებანია ე. ი. ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც სარგებლობენ დაქირავებულ მუშათა და ნოქართა შრომით და, როგორც ასეთნი, მიდრეკილნი არიან იბრძოლონ მუშათა მოთხოვნილების წინააღმდეგ—პირველათ, კერძო კაპიტალისტების კონკურენციის ზეგავლენის გამო და მეორეთ, იმის სურვილითაც, რომ გაზარდონ თავისი მოგება. ასეთი სურვილი, ამასთანავე იზრდება იმის მეოხებით, რომ მწარმოებელი საზოგადოებები შესდგებიან არა მარტო მუშებისაგან, არამეთ წვრილი ბურჟუაზიიდანაც. აი მაგალითად, 78,700 წევრთა შორის „ცენტრალურ კავშირში ნემცების მომხმარებელ საზოგადოებებში“, რომელსაც კოოპერატიული ამხანაგობების წარმომადგენელი ელმი მეთაურობს გერმანიაში, ითვლება მხოლოთ 500 მუშა.

თუ ასეთ პირობებში განვითარდება ხსენებული ტენდენცია ანუ მისწრაფება, მაშინ კოოპერატივებს, სარგებლობის მაგიერ, მუშათა მოძრაობას შეუძლიათ მოუტანონ დიდი ვნება: იმათ შეუძლიათ ჩამოაგდონ განხეთქილება მუშათა შორის, რადგან უპირატეს მდგომარეობას ჰქმნიან იმათთვის, რომლებიც, როგორც წევრები—მომხმარებლები, ღებულობენ კაპიტალისტურ მოსაგებს, ექსპლოატაციის საშუალებით თავიანთივე ამხანაგებიდან, რომლებიც დაქირავებულნი არიან კოოპერატივებისაგან. ამასთანავე კაპიტალისტებს შეუძლიათ ასეთი ფაქტი მაგალითად გამოიყენონ. თავიანთი მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი სთქვან და მიუთითონ იმ წარმოების წესწყობილებაზე, რომლებიც თითონ მუშებმა დააარსეს. ასეთ მოსალოდნელ განსაცდელის წინააღმდეგ ზომების მიღება კი საჭიროა მანამ, სანამ მოხსენებული კოოპერატივები წუმპეში არ შესცურავენ და არ ჩაეფლებიან, ისე როგორც ჩაიფლა ინგლისის და ამ ჟამათ იფლებიან გერმანიის კოოპერატივები.

ინგლისი—აკვანია კაპიტალისტურ განვითარებისა. იქ კოოპერატივებმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწიეს. ამას წინათ გამოაქვეყნეს ინგლისის მომხმარებელ ამხანაგობათა ანგარიში 1905 წლისა. ამ ანგარიშებიდან

ნათლათ სჩანს თუ როგორ არა ჩვეულებრივი სისწრაფით მომწიფდნენ ეს ორგანიზაციები ამ უკანასკნელ 43 წლის განმავლობაში, ე. ი 1862 წლიდან 1905 წლამდე. 1862 წელში ინგლისში იყო მხოლოთ 332 მომხმარებელი საზოგადოება, სადაც ითვლებოდა 90,341 წევრი, მათი ძირითადი თანხა უდრიდა 4,950,000 მანეთს, საბრუნავი თანხა 23,850,000 მან., წმინდა მოგება დარჩა 1,700,000 მანეთი. 1904 წელს კი იყო 2,664 მომხმარებელი საზოგადოება 2,320,116 წევრებით, ძირითადი თანხა იყო 445 მილიონი მანეთი. საბრუნავი თანხა 985 მილიონი მან. წმინდა მოგება დარჩა 100 მილიონი მანეთი.

ყოველ შემთხვევაში, ამ ციფრებმა ჩვენ არ უნდა და გვაბრმაოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მილიონებს უკან ეფარება ისეთი ორგანიზაციული ძალა, რომელსაც პირდაპირ არაფერი საზოგადო არ აქვს მუშათა კლასის ინტერესებთან და მის მოთხოვნილებასთან. ინგლისის კოოპერატივები უბრალო კომერციული წარმოებაა, რომლებიც გამსჭვალულია რეაქციონური წვრილი ბურჟუაზიული ინტერესებით. ისინი არსებობენ სრულიად დამოუკიდებლათ, ანუ არა აქვთ არავითარი კავშირი მუშათა მებრძოლ ორგანიზაციებთან, არაფრით არ არიან შეკავშირებულნი ტრედუნიონისტებთან (ინგლისის მუშათა კავშირთან), რომლებთანაც შეერთებულია ძალა ინგლისის პროლეტარიატისა, არამედ ექვემდებარებიან იმ კანონების მოქმედებას, რასაც ექვემდებარება კერძო კაპიტალისტების წარმოება.

ინგლისის კოოპერატივები გადაიქცნენ სრულიად კერძო კაპიტალისტურ წარმოებათ, რომელიც მუშათა პროლეტარიატის მდგომარეობას ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევს.

ასეთი ბედი ელის კოოპერატიულ მოძრაობას გერმანიაშიაც.

ს. თავართქილაძე

(შემდეგი იქნება)

სტუდენტთა შორის

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პირველი ფურცლის გამოსვლის შემდეგ, ნოვოროსიის უნივერსიტეტში ადმინისტრაციამ ჩვეულებრივ ზომებს მიმართა. უნივერსიტეტი აივსო სხვა და სხვა ჯურის ხალხით, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდენ მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველივე ნაბიჯს. ეს ბატონები იმდენათ გათამამდნენ, რომ ზოგიერთ პროფესორებს ლექციების კითხვის დროსაც კანტროლს უწევდნენ და სხვ. ასეთმა საქციელმა მოთმინებიდან გამოიყვანა ისედაც შევიწროვებული ახალგაზრდობა და 7 ოქტომბერს კოალიციონურმა საბჭომ გამოაცხადა გაფიცვა და ხელმეორეთ წარმოაყენა აკადემიური ხასიათის მოთხოვნილებები. გაფიცვამ მშვენიერათ ჩაიარა საექიმო და ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტებზე, მხოლოდ იურიდიულზე და ისტორიკო-ფილოლოგიურზე მან ვერ ჰპოვა ასეთი ნიადაგი. ეს იმით აიხსნება, რომ პირველზე თვალსაჩინო რიცხვია კავშირის წევრებისა და აკადემისტებისა; მეორეზე კი ნორმალურ მეცადინეობის დროსაც თითო ლექციას 3—5 კაცი თუ დაესწრობა, ისე მცირეა ამ ფაკულტეტზე სტუდენტთა რიცხვი. ბ. ტოლმაჩოვმა, რომელსაც პატარა შეურაცხყოფა მიაყენეს 7 ოქტომბრის ფურცლებში, გაზეთებში გამოაცხადა სტუდენტების საყურადღებოთ, რომ ის მკაცრ ზომებს მიიღებს არეულობის დასამშვიდებლათ. ჯერ დააპატიმრეს ოციოდე კაცი, მათ რიცხვში სამი ქართველი. ეჭვს გარეშეა, ბ. ტოლმაჩოვი სისრულეში მოიყვანს თავის მუქარას, იმ შემთხვევაში თუ გაფიცვა გაგრძელდა. მაგრამ გაფიცვა დიდი ხანი ვერ გასტანს. მოსალოდნელია, პეტერბურგის და მოსკოვის უნივერსტიტების გადაწყვეტილება გავლენას იქონიებს ნოვოროსიის უნივერსიტეტზე და აქაც ამ მოკლე ხანში აიხსნება გაფიცვა.

არიფი.

ქუთაისის ქრონიკა.

აკაკის 50 წლის იუბილეის ადგილობრივი მომწყობელი, 5 ოქტომბერს არჩეული, კომისია გეგმის შედგენას მალე დაამთავრებს და ისევ კრებას წარუდგენს დასამტკიცებლათ.

✦ ქართული წარმოდგენების სეზონი დაიხურა, მაგრამ მისი გაძღოლა ახალმა ამხანაგობამ იკისრა.

✦ 27 ოქტომბერს, **ილიას** დაბადების დღეს, ქალაქის თეატრში მისი ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება სალამო, სადაც მაყურებელთ ილიას ნაწარმოებთა ტიპებსა და სხვა და სხვა მოვლენებს აჩვენებენ. სალამოს პროგრამა, რამდენათაც ვიცით, შინაარსიანია. სალამოს მეთაურობს დავ. კლდიაშვილი, პ. ყიფიანი, ავალიშვილი და სხ. მოწვეულია იონა მეუნარგია ილიას შესახებ რეფერატის წასაკითხათ.

✦ ადგილობრივ ციხეში ფილტვების ავათმყოფობით გარდაიცვალა ს. დიმის მცხოვრები პოლ. ჟღენტი.

✦ ქუთაისსა და ბაღდადს შუა გაყვანილ გზაზე ქურდ-ბაცაცობამ ძლიერ იმატა. ამ თვეში სამჯერ მოხდა დაცემა. ამას წინათ სოფლელებს თავს დაესხნენ დანებით შეიარაღებული პირები. 11 ოქტომბერს გაძარცვეს ჩალვადრები, წაართვეს რაც რამ ებადათ, ცხრა ოქტომბერს თავს დაესხნენ დელეჟანს. ამის გამო დაატუსაღეს ნ. ჩხეიძე და ბ. ჯანელიძე. გამოძიება სწარმოებს.

✦ ქართულ გიმნაზიის მოსწავლენი განსაკუთრებულათ აპირებენ **აკაკის** იუბილეის შეხვედრას, რისთვისაც თადარიგს აქედანვე შეუდგენ.

დედა.

როგორც აღმზრდელი.

(წერილები მუშა ხალხის დედებისადმი).

თარგმანი გერმანულიდან **ს. კანდ—ისა.***)

12.

შენ უნდა იქონიო მოთმინება!

შენი ბავშვი ურჩი და ცელქია. ასჯერ მაინც დაუშალე მას უხეირო ეშმაკობა, ის მაინც თავისას არ იშლის. მან არ უნდა იჭყლაპუნოს წყალში; რამდენჯერ უთხარი ეს შენ პატარა ქალიშვილს, ეს არის სულ ნახევარ საათის წინათ გაუმეორე, მაგრამ, ხედავ, აგერ მინდორში წვიმისაგან დამდგარ გუბეში კიდევ ჩამჯდარა და მხიარულათ ჭყუპალობს. წყალი ესხმება მაღლა; წინდები და ტანისამოსი სულ სველი აქვს, შენ კი გამწარებული უყურებ ამას. ბრაზი მოგდის და სრულებით ვერ ამჩნევ, როგორ მხიარულათ ბრწყინავენ ბავშვის თვალები. შენ ხედავ მხოლოდ სოველ ჩულქებს და ფეხსაცმელს, ეშმაკ და ურჩ ბავშვს. ბრაზი და სიმწარე გძლევს. გამოდიხარ მოთმინებიდან, სასტიკათ სჯი და უყვირი ბავშვს: „რამდენჯერ აღგიკრძალე მე შენ მაგ, შე საძაგელო შენა, მე შენ ველარ გაგიძლებ. აბა, რა უნდა გამოვიდეს შენგან“!

დამშვიდდი, აღელვებულო დედა! შენი ბავშვი არც ერთ სხვა ბავშვზე უარესი არ არის. რასაკვირველია, მას არ უწყვია თავში კანონთა კრებული, მით უმეტეს ჯან-მრთელობის კანონები. საბედნიეროთ, არა! ეს იქნებოდა ცუდი ბავშვისათვის, ეს იქნებოდა ყოვლად უაზრო—ბავშვს რომ მუდამ, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ფეხის გადადგმაზე ახსოვდეს ის ასი და ათასი საყვედური და გაწყრომა, რასაც მამა ან დედა მთელი წლის განმავლობაში ხან სიმშვიდეში, უფრო ხშირათ სიბრაზეში აძლევს ბავშვს. ჰკითხე, დედა, ყოველთვის შენ თავს წინდაწინ დაფიქრებულათ, შეგიძლია ასე თუ ისე მოიქცე თუ არა. რა უნდა ექნა აღმზრდელს, რომელსაც ყოველთვის სურდა შენ გაეფრთხილებინე: ასე შენ არ უნდა მოიქცე, რა ხშირათ გეუბნები შენ ამას, ეს არის სიმრუდე და შეცდომა!

განა ყურადღება არ უნდა მიაქციო და მიატოვო ბავშვი წყალში საშხაპუნოთ? რასაკვირველია, არა! ის მაშინვე უნდა ამოიყვანო. თანაც საყვედური უნდა უთხრა მოკლე და გადაჭრილ სიტყვებით, ხოლო არ აღშფოთდე. შენ არ უნდა დაარღვიო შენი ბავშვის შენდამი რწმენა გულმოსულ სამდურავით და აღშფოთებულ გაკვირვებით. ბავშვმა უნდა იგრძნოს თუ რითი აყენებს მშობლებს უსიამოვნებას—ეს შეუძლია მას. ბავშვი უნდა შეეჩვიოს დაჯერებას. ის უნდა ერიდებოდეს სიმრუდეს, სიგლახეს, უზდელობას, საფრთხეს—ამას უნდა შეაჩვიო ბავშვი. მაგრამ გულ-მოსულობით, სიბრაზით, ბრაზისაგან წამოსროლილ სიტყვებით და სასტიკ ბრძანება-აკრძალვით კი არ შეგიძლია მიაღწიო ამას. პირიქით, დამშვიდებული, წყნარ დარიგებით და თანდათანობრივ შეჩვევით უფრო მეტი შეგიძლია შენ, ვინემ წარამარა მწარე გაკიცხვით, აღშფოთებულ კრულვით და გინებით. დედამ უნდა იქონიოს მოთმინება. მოუთმენელ წეწვა-გლეჯით შენ ვერ მიიყვან ვარდის კვირტს აყვავებამდის, პირიქით, დააჭკნობ მას. თუ შენი ბავშვიც, ადამიანის ნაზი კვირტი, გინდა ლამაზათ გაიფურჩქნოს, ნუ აჯავრებ და ნუ გლეჯ მას, არამედ ივარჯიშე მოთმინებით.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ბარამაშვილი.**

განცხადებანი.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

ვინც „ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ს“

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

პრემიათ **პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა**

კრებულს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

ჩვენი კვალი

წასული ნომრებით წლის ბოლომდე ღირს — — **3** მან.
სექტემბრიდან — — — — — — — — — **2** „

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რ დაქციაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“. ქუთათურ ხელის მომწერთ გაზეთი პრემიით დაურიგდება კანტორა „იმერეთში“

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

1908 წ. ენკენისთვის 1-დან ქუთაისში

ნ. ლ. მიქელაძის ასულმა

მთავრობის ნებართვით გახსნა მე-3 ხარისხის

ქალთა სკოლა

პროფესიონალურ განყოფილებით

ასწავლიან: 1) სრულს კურსს ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლისას.

2) სრულს კურსს ჭრა-კერვისას, სხვა და სხვა დარგის ხელთ-საქნარსა და შლიაპის ხელობას.

სწავლის ქირა წელიწადში 36 მანეთი.

თხოვნები მიიღება სასწავლებელში. ტფილისის ქუჩა, სახლი ნესმაშინის (ადრე სანიკიძისა).

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.